განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 21.06.2022-22.06.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი:

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**ქუთაისის უნივერსიტეტი** კერძო სამართლის იურიდიული პირი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212677094
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი** Accounting and Audit
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების II საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბუღალტრო აღრიცხვაში Master of Business Administration (MBA) in Accounting
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0411 საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა Accounting and Taxation
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № MES 4 20 0000679096, 11.08.2020

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მანანა ლობჟანიძე (თავმჯდომარე)** სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**თამარ გვიანიშვილი** შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**რომან მამულაძე** სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ზურაბ ჯანხოთელი** შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის (შემდგომში - დაწესებულება) „საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას (შემდგომში - პროგრამა) მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - აკრედიტაციის საბჭო) 2020 წლის 11 აგვისტოს № MES 4 20 0000679096 გადაწყვეტილებით. აკრედიტაციის შემდეგ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა რიგი ცვლილებები, რომლებიც ეფუძნებოდა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებას და პროგრამის განვითარებას. პროგრამის შინაარსობრივი ცვლილებების გათვალისწინებით შეიცვალა პროგრამის დასახელებაც. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დაწესებულებამ ცვლილებების შესახებ (შპს ქუთაისის უნივერსიტეტის 2021 წლის 12 აპრილის წერილი № 00000620) აცნობა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (შემდგომში - ცენტრი), რის საფუძველზეც ცენტრის გადაწყვეტილებით (ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 ივნისის ბრძანება №MES 8 21 0000588388) განხორციელდა პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის გზით შეფასება. მონიტორინგის შედეგად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) დასკვნით პროგრამა დადებითად იქნა შეფასებული, კერძოდ, შეფასდა სტანდრტები: „1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა“, „2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა“ და „4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა“. სამივე სტანდრტთან პროგრამის შესაბამისობა შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განისაზღვრა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია. აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 10 სექტემბრის № MES 1 21 0000890033 გადაწყვეტილებით ძალაში დარჩა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია და ამასთანავე შეწყდა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განახლების ეტაპზე დაიხვეწა პროგრამის შედეგები და სასწავლო გეგმა, აღნიშნული ცვილებების საფუძველს წარმოადგენდა არამხოლოდ გარე შეფასების შედეგები, არამედ პროგრამების

განვითარების მიზნით დაწესებულებაში შემუშვებული შიდა მექანიზმები, რომლის მიხედვითაც პროგრამის განახლება ეფუძნება დაინტერესებული მხარეების შეფასებას, ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზს, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას და ა.შ. პროგრამის განვითარება და გაუმჯობესება მუდმივი და უწყვეტი პროცესია და ცვლილებები პროგრამაში მიმდინარეობს მუდმივად, სხვადასხვა შეფასებებისა და ანალიზის საფუძველზე. პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის იმ აკადემიურ დატვირთვას, რაც საჭიროა და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2 (ორ) აკადემიურ წელს, ანუ 4 (ოთხ) სემესტრს, და მოიცავს 120 კრედიტს (3000 საათს). 1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს (მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს). პროგრამა ითვალისწინებს: ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კომპონენტებს 81 კრედიტის მოცულობით. მათ შორის, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტებს 73 კრედიტის მოცულობით და არჩევით კომპონენტებს (მათ შორის პროფესიულ პრაქტიკას) 8 კრედიტის მოცულობით. პროგრამა ასევე ითვალისწინებს თავისუფალ სასწავლო კომპონენტს 14 კრედიტის მოცულობით, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი/ტრანსფერული უნარების 10 განვითარებაზე, მათ შორის, თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებს 8 კრედიტის მოცულობით და არჩევით სასწავლო კურსებს 5 კრედიტის მოცულობით, რომლის არჩევაც შესაძლებელია დაწესებულებაში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით. პროგრამა ასევე მოიცავს კვლევით კომპონენტს, სამაგისტრო ნაშრომს 25 კრედიტის მოცულობით. პროფესიული პრაქტიკის გავლა სავალდებულოა ყველა მაგისტრანტისთვის გარდა იმ მაგისტრანტებისა, რომლებიც დასაქმებულები არიან, ბუღალტრად, ფინანსურ მენეჯერად, აუდიტორად, აუდიტორული კომპანიის სპეციალისტად. ასეთ მაგისტრანტებს უფლება აქვთ სურვილის შემთხვევაში პროფესიული პრაქტიკა აითვისონ როგორც არჩევითი კომპონენტი. სტუდენტი, რომლისთვისაც სავალდებულოა პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის გავლა (არჩევა), თავისუფლდება ძირითადი სწავლის სფეროს სხვა არჩევითი სასწავლო კურსებისგან. თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი კრედიტების ათვისება შესაძლებელია ამავე პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებით. პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბუღალტრო აღრიცხვაში (Master of Business Administration (MBA) in Accounting).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2022 წლის MES 1 22 0000607847 (07/06/2022) ბრძანების შესაბამისად 2022 წლის 21-22 ივნისს განახორციელა ვიზიტი შპს - ქუთაისის უნივერსიტეტში (შემდგომში - დაწესებულება) „საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) შეფასების მიზნით.

- ვიზიტამდე შედგა 2022 წლის 16 ივნისს ექსპერტთა ჯგუფის წინამოსამზადებელი შეხვედრა ონლაინ რეჟიმში. განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და სტანდარტების კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
- 2022 წლის 21-22 ივნისს წინასწარ შეთანხებული ვიზიტის დღის წესრიგის მიხედვით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის განმა-

ხორციელებლებთან, ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (რექტორი, რექტორის მოადგილე, კანცლერი, დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. სამუშაო შეხვედრები მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ,,საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა:

  - **პირველი სტანდარტი** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - **მეორე სტანდარტი** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან სტანდარტის 2.1, 2.2, 2.5 და 2.6 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.3, 2.4 კომპონენტები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - **მესამე სტანდარტი** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 3.1 და 3.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - **მეოთხე სტანდარტი** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - **მეხუთე სტანდარტი** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან სტანდარტის 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდირებულია განახლდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურა, აკადემიური პესრსონალის მიერ შემუშავდეს და სილაბუსებში აისახოს ქართულენოვანი სასწავლო მასალები, ასევე ძირითად ლიტერატურაში მითითებულ იქნას ოპტიმალური რაოდენობის სასწავლო მასალები.
  - „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსის „სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის“ ჩანაწერში შევიდეს ცვლილება და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად განსაზღვრულ იქნას „ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი. სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელად შეიძლება დაშვებულ იქნას განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილების და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი“. აქვე დაზუსტდეს კრიტერიუმები და კომპონენტები, რომელის გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება „განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილების პირის“ იდენტიფიცირება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია მკაფიოდ განისაზღვროს „პროფესიული პრაქტიკის“ კომპონენტის სტატუსი. თუ პროფესიული პრაქტიკა იქნება არჩევითი სასწავლო კომპონენტი, მაშინ

სასწავლო გეგმით იმავე (მეოთხე) სემესტრში აუცილებლად უნდა იყოს იგივე მოცულობის (რვა კრედიტი) სხვა სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობა. ასევე აუცილებელია სახელმძღვანელო დოკუმენტებში ან საგანმანათლებლო პროგრამაში დეტალურად გაიწეროს „პროფესიული პრაქტიკის“ კომპონენტის გავლისგან სტუდენტის გათავისუფლების პირობები და პროცედურები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანების შესაბამისად.

- სასურველია ინგლისურ ენაში B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტად კანდიდატის მიერ საქართველოში ან საზღვარგარეთ ინგლისურენოვანი „საბაკალავრო პროგრამის“ დასრულების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ასევე ჩაითვალოს ინგლისურენოვანი „სამაგისტრო პროგრამის“ დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტიც (საქართველოში ან საზღვარგარეთ).
- სასურველია, სასწავლო გეგმაში ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებს დაემატოს „ბიზნეს კომუნიკაციების და მოლაპარაკებების ხელოვნების“ ან სხვა მსგავსი შინაარსის სასწავლო კურსი, რომელიც გააძლიერებს კურსდამთავრებულის კომპეტენციებს კომუნიკაციების მიმართულებით.
- სასურველია, „სტრატეგიული მარკეტინგის“ სასწავლო კურსი ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადმოტანილ იქნას სავალდებულო სასწავლო კურსებში.
- სასურველია დაწესებულებამ მეტი ძალისხმევა მიმართოს კერძო სექტორის დამსაქმებლებთან საპარტნიორო ხელშეკრულებების გაფორმებისკენ.
- სასურველია დაწესებულებამ მეტი ძალისხმევა მიმართოს ექსტრაკურიკულარული აქტივობებში, გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის გასაზრდელად და ინტერესის გასაღრმავებლად.
- სასურველია კარიერული სამსახურის გააქტიურება სტუნდენტთა დასაქმების მიზნით კვალიფიკაციის შესაბამისად; კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით.
- სასურველია მაგისტრანტების ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სტუდენტებისთვის ტექსტის დაკაბადონების წესების, სქოლიოებისა და წყაროების აკადემიური ორგანიზების ნორმების გაცნობას.
- მიზანშეწონილია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს უსდ-ს, ისე უცხოეთის უსდ-ს წარმომადგენლ(ებ)ის მიერ, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე ტენდენციების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - საუკეთესო პრაქტიკად მივიჩნიეთ სტუდენტთა ჩართულობა სამუშაო ჯგუფის სახით დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.
  - საუკეთესო პრაქტიკად მივიჩნიეთ სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის განსაზღვრულია ფულადი ჯილდოები. პერსონალის დაჯილდოვება ქუთაისის უნივერისტეტის მიერ ხორციელდება საჯაროდ, რაც ზრდის პერსონალის მოტივაციას გააუმჯობესონ შეფასების შედეგები.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში (შემდგომში - პროგრამა) ჩამოყალიბებული მიზნები მიღწევადი და რეალისტურია, პროგრამა მიზნად ისახავს იმ უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების მინიჭებას კურსდამთავრებულთათვის, რომლებიც კონკურენტუნარიანს და მოთხოვნადს გახდით მათ არამხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო ბაზარზე. პროგრამის მიზნების შესაბამისად, კურსდამთავრებულები აღჭურვილნი იქნებიან თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი ცოდნით და უნარებით, აქტიურად იქნებიან ჩართულნი სიცოცხლის მანძლზე სწავლაში და წვლილს შეიტანენ საზოგადოების განვითარებასა და კეთილდღეობაში. შრომის ბაზრის კვლევის შედეგად, რომელიც მოიცავს ერთი მხრივ, განათლების სექტორის კვლევასა და მეორე მხრივ, შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევას დამსაქმებელთა და პოტენციურ დამსაქმებელთა მიერ (სახელმწიფო აუდიტის სასმახური; ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური; ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია და სხვა) ცხადყოფს, რომ საბუღალტრო მიმართულებით და, მათ შორის სამაგისტრო დონეზე, მაღალია დაინტერესება და მოთხოვნა საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სფეროს სპეციალისტებზე და ამდენად, დიდია დასაქმების შესაბამისი პერსპექტივები. შრომის ბაზრის კვლევა (მათ შორის პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები) აჩვენებს თუ რა ცოდნისა და უნარების განვითარებას მოითხოვს დამსაქმებელი, რა კომპეტენციებია საჭირო საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში წარმატებული დასაქმებისთვის. სწორედ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შემუშავდა ქუთაისის უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრისხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მიზნებიცაა: • ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროსათვის, ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე კადრების მომზადება, რომლებიც სრულად წვდებიან და აცნობიერებენ პროფესიული ღირებულებების არსს; • თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც დამოუკიდებლად აფასებენ ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის მთლიან სიტემას და სახავენ გზებს მათი ეფექტიანობის და ოპერატიულობის გაზრდისათვის; ფლობენ ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის სისტემების შექმნის და გამართული ფუნქციონირების, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა-ჩატარების ტექნიკას; იყენებენ ბიზნესის კვლევის თანამედროვე

მეთოდებს და შეუძლიათ ბიზნესის ეფექტიანი მართვისათვის საჭირო სტრატეგიული და ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღება;

- პროფესიონალების მომზადება, რომლებსაც შეუძლიათ საინფორმაციო სისტემების (ელექტრონული პროგრამების) ეფექტიანი გამოყენება, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის წარმოების, აუდიტორული შემოწმების დაგეგმვა-ჩატარების პროცესში.

პროგრამის მიზნებში ნათლად იკვეთება, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შეძენა-განვითარებისკენაა პროგრამა მიმართული, კერძოდ ეს არის ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის არსებული სისტემის შეფასების, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის სისტემების შექმნის და გამართული ფუნქციონირების, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა-ჩატარების ტექნიკის ცოდნა, სწორი მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების, საჭირო ინფორმაციის დამუშავების და ანალიზის უნარები, კვლევითი უნარების დახვეწა და ეთიკური, პროფესიული სტანდარტებით ხელმძღვანელობა, რაც კურსდამთავრებულს კარგ პროფესიონალად და პასუხისმგებლიან პიროვნებად ჩამოყალიბებაში შეუწყობს ხელს, რაც საერთო ჯამში, დარგის განვითარებაზე სასიკეთოდ აისახება.

აღსანიშნავია, რომ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები თავსებადია დაწესებულების მისიასთან, რომლის თანახმად დაწესებულება უზრუნველყოფს:

- საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონული შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციისა და ცოდნის მქონე კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებისა და შესაბამისი სფეროს განვითარებაში, ასევე ეკონომიკურ აღმშენებლობაში საკუთარი წვლილის შეტანას;
- ადგილობრივ დონეზე აკადემიური საზოგადოების გაძლიერებას, ახალი ცოდნის გენერირების და გაზიარების ხელშეწყობას, როგორც უნივერსიტეტის რესურსების, ასევე, რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის მიზნებით დასახული კვალიფიციური კადრების მომზადებით, პროგრამას წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს დასაქმების ბაზრის (გამოკვლეული სეგმენტის) მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფილ იქნა პროგრამის შემუშავების პროცესში დამსაქმებელთა ჩართულობითა და მათი შეფასებების, მოთხოვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. აღნიშნული დასტურდება დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების, მათი შეფასებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებით. ასევე, პროგრამის განვითარების პროცესში პროგრამის შეფასების მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა დამსაქმებლების გამოკითხვა. აღნიშნული მიზნად ისახავდა პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის შეფასების საფუძველზე პროგრამის ძლიერი მხარეების გამოვლენას, აგრეთვე რეფლექსიას მიგნებებზე, რაც შემდგომში პროგრამის, ცალკეული სასწავლო კურსის თუ პროგრამის განხორციელების პროცესში ცალკეული პროცედურის/პირობების სრულყოფას შეუწყობს ხელს. პროგრამის შეფასების მიზნებისათვის სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით დამსაქმებლის, როგორც პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციით დაინტერესებული მხარის - მოსაზრებების შესწავლისას, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებმა. აღსანიშნავია, რომ კითხვარების შევსება და პროგრამის შეფასება განხორციელდა კომპანიის წარმომადგენელი სფეროს სპეციალისტების მიერ. მიღებული შეფასებების და რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები პროგრამის, განვითარების, გაუმჯობესების და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით (დეტალური ინფორმაცია იხ. ქვესტანდარტის „1.2. პროგრამის სწავლის შედეგები“

აღწერისა და შეფასების ნაწილში). ზემოაღნიშნულის შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ დამსაქმებელთა მიერ პროგრამის შეფასების და მათი მოთხოვნებისა თუ რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებებით პროგრამა შრომის ბაზრის გამოკვეული სეგმენტის მოთხოვნებზე მორგებული გახდა (იხ. დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში).

პროგრამის მიზნები, საჯაროა და ხელმისაწვდომი დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე: https://www.unik.edu.ge

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- ქუთაისის უნივერსიტეტის მისია;
- დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში;
- საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები;
- ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.unik.edu.ge/.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) სწავლის შედეგები სრულად თანხვედრაშია უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონესთან (უმაღლესი განათლების მეორე საფეხური - მაგისტრატურა, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეშვიდე დონე), მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბუღალტრო აღრიცხვაში / Master of Business Administration (MBA) in Accounting) და პროგრამის მიზნებთან. პროგრამა მიმართულია დარგისთვის აქტუალური ძირითადი ცოდნის და უნარების, ასევე პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ჩამოყალიბებაზე და უზრუნველყოფს კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების (შეისწავლის ფინანსური ტრანსაქციების

განხორციელებას, აუდიტირებასა და აღრიცხვას) მიღწევას.

სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის სფეროს შესაბამისი ცოდნის და უნარების გამომუშავებას, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ჩამოყალიბებას. პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი კომპეტენციები:

- სრულყოფილად აღწერს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების და სხვა მარეგულირებელი საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს, რომლებიც ადგენენ პროფესიული საქმიანობის განხორციელების წესებს;
- ხსნის ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მიმდინარე პროცესებს, ასევე ახდენს აღრიცხვისა და აუდიტის მიმართულებით მოქმედი მარეგულირებელი ნორმების ინტერპრეტირებას და გამოყენებას, პრაქტიკული საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირების, გაანალიზებისა და გადაჭრისათვის. უნარი:
- ამზადებს ფინანსურ, მმართველობით და საგადასახადო ანგარიშგებებს შესაბამისი სტანდარტების და მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნების დაცვით, მ.შ. თანამედროვე ელექტრონული პროგრამების საშუალებით და ასაბუთებს მმართველობით გადაწყვეტილებებს სათანადო მეთოდების გამოყენებით;
- ადგენს ორგანიზაციის საქმიანობის ცალკეული მიმართულებების ან/და მთლიანად ორგანიზაციის აუდიტის გეგმას და პროგრამას შესაბამისი სტანდარტების მოთხოვნების დაცვით კერძო და საჯარო სექტორში, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების შეჯამების შედეგად კი აყალიბებს აუდიტორის მოსაზრებას;
- აანალიზებს ბიზნესში მიმდინარე პროცესებს, ტენდენციებს და ახდენს ფინანსური მაჩვენებლების განვითარების პროგნოზირებას; იღებს ბიზნესის მართვასთან დაკავშირებულ სტრატეგიულ და ტაქტიკურ გადაწყვეტილებებს;
- ახდენს პირველადი სააღრიცხვო მონაცემების განზოგადებას შესაბამის ანგარიშგებაში და მათზე დაყრდნობით გამოაქვს სათანადო დასკვნები, ასევე აყალიბებს და მართავს შიდა კონტროლის/აუდიტის სისტემას ბიზნეს ორგანიზაციაში;
- აფასებს, ერთი მხრივ კონკრეტული სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის შედეგებს, მის ფინანსურ მდგომარეობას, გადახდისუნარიანობას და ლიკვიდურობას, ასევე საინვესტიციო ალტერნატივებს თანამედროვე მეცნიერული მეთოდების გამოყენებით, ხოლო მეორე მხრივ, აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში მიმდინარე მოვლენებს და აკეთებს სათანადო დასკვნებს;
- ორგანიზებას უკეთებს ცალკეული პროფესიული საკითხების კვლევას და ახდენს საკუთარი და სხვისი კვლევის შედეგების კომპილაციას;
- იღებს და გადასცემს წერითი, ზეპირი და ელექტრონული ფორმით სხვადასხვა სახის საფინანსო-სააღრიცხვო ინფორმაციას, მსჯელობს პროფესიულ საკითხებზე, ფლობს დისკუსია/დებატებში მონაწილეობის, საჯარო გამოსვლის და მეცნიერული მეტყველების უნარს.
- აღიარებს და იცავს სფეროში დადგენილ პროფესიულ ღირებულებებს და ეთიკურ 20 ნორმებს, როგორც პრაქტიკულ საქმიანობაში, ისე კვლევის პროცესში;
- ითვისებს პროფესიულ სიახლეებს და დამოუკიდებლად წარმართავს სწავლის პროცესს.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც დემონსტრირდება პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკით.

პროგრამით დასახული მიზნების, ცოდნისა და უნარების შემუშავების, ფორმირების პრო-

ცესში პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ასევე, ჩართული იყო სფეროს სპეციალისტებით დაკომპლექტებული პროგრამის კომიტეტი. პროგრამით განსაზღრული სწავლის შედეგების ფორმირების პროცესში უზრუნველყოფილი იყო ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა (პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები). ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს გარე შემფასებლების ჩართულობა, პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკშირებით მათი მოსაზრებების, შეფასებებისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით. დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის განახლებისა და განვითარების პროცესში, კერძოდ:

- სტუდენტთა მიერ დადებითად იქნა შეფასებული პროგრამის მიზნები და შედეგები, ასევე სასწავლო გეგმა, თუმცაღა გაიცა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პროგრამის ფარგლებში ბუღალტრული პროგრამების შესწავლას (მაგალითისთვის სტუდენტი ასახელებს Oris (ორისი) ბუღალტერიის პროგრამას). მიღებული რეკომენდაციის საპასუხოდ პროგრამის ფარგლებში ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კომპონენტად გათვალისწინებულ იქნა სასწავლო კურსი ,,ფინანსური აღრიცხვის ელექტრონული პროგრამები''. სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა მათი ინტერესებისა და საჭიროების შესაბამისად განივითარონ შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, კერძოდ შეძლონ ფინანსური და მენეჯერული აღრიცხვის წარმოება სრულად ელექტრონული პროგრამის საშუალებით, ისევე როგორც ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგების მომზადება როგორც წლიურად, ასევე კვარტალურად და მათთვის საჭირო სხვა პერიოდულობით. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს კურსები, როგორებიცაა ფინანსური აღრიცხვა და ბუღალტრული ანგარიშგება და ანალიზი, ასევე ითვალისწინებს ფინანსური აღრიცხვის ელექტრონული პროგრამის გამოყენებას პრაქტიკულ მეცადინეობებზე კონკრეტული დავალებების შესასრულებლად, თუმცაღა აღნიშნული არჩევითი სასწავლო კურსის სახით, ფინანსური აღრიცხვის ელექტრონული პროგრამების სწავლების დამატებით შეთავაზება, სრულად დააკმაყოფილებს ცალკეულ სტუდენტთა მომეტებულ საჭიროებას ამ მიმართულებით.
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ, პროგრამის შეფასების პროცესში გაზიარებული რეკომენდაციის შესაბამისად მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების შემადგენლობაში, სასწავლო კურსის „სამეცნიერო კვლევის სტრუქტურა, მეთოდები და ეთიკა“ ნაცვლად შეტანილი იქნეს სასწავლო კურსი „ბიზნესის კვლევის მეთოდები“. პროგრამის ხელმძღვანელი და კომიტეტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი, იმავე კომპონენტის კიდევ ერთ სასწავლო კურსთან „სამეცნიერო წერა“ ერთად დაეხმარებათ მაგისტრანტებს სრულად მიაღწიონ პროგრამით დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებს, მათ შორის სათანადო ხარისხით მოამზადონ პროგრამით გათვალისწინებული სამაგისტრო ნაშრომი, მომავალში დამოუკიდებლად ჩაატარონ შესაბამისი მიმართულების კვლევები და მოამზადონ წერილობითი ანგარიშგები მათ საფუძველზე. პროგრამის ხელმძღვანელისა და კომიტეტის მიერ ასევე განხილული იქნა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პრაქტიკის მეტ შეთავაზებას სტუდენტთათვის. რეკომენდაციის საპასუხოდ მნიშვნელოვანია აღინიშნოს ფაქტი, რომ პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის (რომლესაც სტუდენტი ასრულებს პრაქტიკის ობიექტზე) კრედიტების მოცულობა პროგრამის წინა აკრედიტაციის შემდეგ გაიზარდა 5 კრედიტიდან 8 კრედიტამდე, შესაბსამისად, გაიზარდა სტუდენტის მიერ პრაქტიკის

ობიექტზე გასატარებელი საათების მოცულობა 176 საათამდე. დაფიქსირებულ რეკომენდაციაში კიდევ ერთი მოსაზრება ეხებოდა პრაქტიკის ობიექტების მრავალფეროვნების გაზრდას. ამ საკითხზე დაწესებულება მუდმივად ზრუნავს და სწორედ ამის შედეგია ის, რომ პრაქტიკულად ყოველწლიურად იზრდება პრაქტიკის იმ ობიექტების რაოდენობა, სადაც სტუდეტებს აქვთ პროფესიული პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გაიცა ასევე რეკომენდაცია შემდეგი სასწავლო კურსების დამატების შესახებ: „კონფლიქტების და სტრესის მართვა“ და „საბუღალტრო აღრიცხვის რომელიმე ელექტრონული სისტემის პრაქტიკული კურსი“. უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი სასწავლო კურსები „სტრატეგიული მენეჯმენტი“ და „სტრატეგიული მარკეტინგი“ სრულად უზრუნველყოფენ კონფლიქტების და სტრესის მართვასთან დაკავშირებული იმ კომპეტენციების მიწოდებას სტუდენტებისთვის, რომლებიც პროფესიული საქმიანობის ფარგლებში მათთვის იქნება საჭირო და აუცილებელი. ხოლო რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა საგანმანათლებლო პრგრამაში ელექტრონული სისტემის პრაქტიკული კურსის დამატებას, ასევე გაცემული იქნა სტუდენტთა მიერაც და კომიტეტის გადაწყვეტილებით გათვალისწინებულია, როგორც ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კომპონენტი. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რეკომენდაციით, კომიტეტმა ასევე მიიღო 22 გადაწყვეტილება, სასწავლო კურსების „ფინანსური მენეჯმენტი 1 და 2'' გაერთიანების შესახებ, განახლებულ პროგრამაში სასწავლო კურსი წარმოდგენილია გაერთიანებული სახით და ეთმობა 6 კრედიტი. აღსანიშნავია, რომ საერთო ჯამში გამოკითხული პერსონალის მხრიდან პროგრამა მაქსიმალური 5 ქულიდან საერთო ჯამში შეფასდა საშუალოდ 4.5 ქულით.

- კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამა საერთო ჯამში დადებითად იქნა შეფასებული, კერძოდ, მაქსიმალური 5 ქულიდან პროგრამა შეფასდა საშუალოდ 4.5 ქულით. კურსდამთავრებულების მიერ ასევე მაქსიმალური ქულით იქნა შეფასებული პროგრამის სასწავლო გეგმა, თუმცაღა გამოითქვა მოსაზრება, რომ საინტერესო იქნებოდა ACCA-ის ლექტორებთან კონსულტაციის გავლა და ერთობლივი გადაწყვეტილებით ისეთი სასწავლო კურსების ჩამატება, რაც პროგრამის კურსდამთავრებულს კიდევ უფრო პროფესიონალს გახდის“. აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელისა და კომიტეტის გადაწყვეტილებით, შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსების ავტორების მისამართით გაიცა რეკომენდაციები და სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის მიერ განახლებულ სილაბუსებში დამხმარე ლიტერატურის სახით გამოყენებულია ACCA-ის სახელმძღვანელოები.
- პროგრამის შეფასების პროცესში, მონაწილეობა მიიღო პროგრამის პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებმა, დამსაქმებლებმა ანდა პოტენციურმა დამსაქმებლებმა. გამოკითხვის პროცესში მონაწილე ორგანიზაციებია: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია - შიდა აუდიტის სამსახური, სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი, სს „კრედო ბანკი“, სს ენერგო პრო ჯორჯია და სხვა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კითხვარები შეავსო ორგანიზაციის წარმომადგენელმა სფეროს სპეციალისტებმა, ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებში შესაბსამისი მიმართულებით დასაქმებულმა პირებმა. რესპოდენტთა მიერ გაზიარდა რიგი მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, მაგალითად, დაფიქსირდა მოსაზრება სასწავლო კურსის „მმართველობითი აღრიცხვა გადაწყევტილების მისაღებად'' სამუშაო საათების გაზრდასთან დაკავშირებით, რაც გათვალისწინებულ იქნა პროგრამის განახლების ეტაპზე, კერძოდ, პროგრა-

მის ხელმძღვანელისა და კომიტეტის გადაწყვეტილებით აღნიშნული კურსის გაძლიერების მიზნით გაიზარდა მისთვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობა 4 კრედიტიდან 5 კრედიტამდე. შესაბამისად, გაიზარდა აღნიშნული სასწავლო კურსით გაწერილი სწავლის შედეგების მისაღწევად სტუდენტებისთვის განკუთვნილი სამუშაო საათების მოცულობა. სასწავლო კურსზე გაზრდილი კრედიტების ფარგლებში საკითხები ისწავლება იმ დონითა და ხარისხით, რომ სხვა მონათესავე კურსებთან ერთად მისი გავლის შემდეგ სტუდენტს გამოუმუშავდება როგორც მმართველობითი აღრიცხვის წარმოების, ისე მისი ინფორმაციის საფუძველზე მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების უნარი. დამსაქმებელთა მხრიდან აქცენტი გაკეთდა ასევე პრაქტიკული საკითხების გაძლიერების მიმართულებით ზრუნვასთან დაკავშირებით. აღნიშნული სრულად შეესაბამება პროგამის ხელმძღვანელისა და კომიტეტის წევრების სწრაფვებს, რისი გამოხატულებაც არის მათ მიერ 23 მიღებული არაერთი გადაწყვეტილება, მათ შორის დამატებითი სასწავლო კურსების (მაგალითად: ფინანსური აღრიცხვის ელექტრონული პროგრამები) გათვალისწინება, პროფესიული პრაქტიკის კომპონენტისთვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობის, შესაბსამისად, სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე გასატარებელი საათების მოცულობის გაზრდა, პრაქტიკის ობიექტების მრავალფეროვნების მუდმივი ზრდა და ა.შ. საერთო ჯამში, პროგრამა დამსაქმებელთა მიერ დადებითად იქნა შეფასებული, მათ შორის პროგრამის სასწავლო გეგმა მაქსიმალური 5 ქულიდან საშუალოდ 4.58 ქულით შეფასდა. პროგრამის განვითარების ეტაპზე დაინტერესებული მხარეების მხრიდან მოსაზრებებისა და რეკომედაციების გაზიარება და პროგრამის ხელმძღვანელის, კომიტეტის წევრების მიერ მათი გათვალისწინება დასტურდება თანდართული გამოკითხვის შედეგების ანალიზითა და შედეგების გამოყენების ანგარიშით. ანგარიში დეტალურად აღწერს მიღებულ რჩევებსა და რეკომენდაციებს და პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის კომიტეტის წევრების პოზიციებს და არგუმენტებს კონკრეტული საკითხების გათვალისწინების შესახებ (იხ. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს ბაზრის მოთხოვნებს და ამდენად შესაბამისობაშია დარგისა და ბაზრის შესწავლილი სეგმენტის მოთხოვნებთან;

- გარე ექსპერტებისაგან მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე მოხდა პროგრამის შედეგების რაოდენობის შემცირება, სასწავლო კურსების შემადგენლობაში დამატებითი კურსების ასახვა, კრედიტების დაზუსტება, თემატიკისა და ლიტერატურის განახლება-შევსება და ა.შ. (დეტალებისთვის იხ. ქვესტანდარტის „5.2 გარე ხარისხის შეფასება“ აღწერისა და შეფასების ნაწილი).

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად განსაზღვრული, მიღწევადი და გაზომვადია, რისი დასტურიცაა სწავლის შედეგების რუკა, რომელიც ცხადად წარმოადგენს, რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული შედეგის დადგომას. რუკა ასევე ასახავს, I, R, E (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) შკალაზე რა ხარისხით არის შესაძლებელი კონკრეტული შედეგის მიღწევა (რუკის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია პროგრამის დანართში №2 – საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა). სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად (დოკუმენტი დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ15 ბრძანებით) მეთოდოლოგიური დოკუმენტის თანახმად, პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება შეფასების შემდეგი მე-

თოდების გამოყენებით: • შეფასების პირდაპირი მეთოდები; • შეფასების არაპირდაპირი მეთოდები.

სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირი მეთოდით შეფასების მიზნით პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების რუკა, სადაც თითოეული სწავლის შედეგისთვის გაწერილია კონკრეტული ინდიკატორები, რომლითაც მოხდება სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება. შეფასების ინდიკატორები ფასდება შეფასების 3 დონის გამოყენებით. შეფასების დონეებია: ვერ აკმაყოფილებს; მეტწილად აკმაყოფილებს; აკმაყოფილებს. თითოეული ინდიკატორის და შეფასების თითოეული დონისთვის წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. რუკის დახმარებით შესაძლებელია იმის დადგენაც, რომელ სასწავლო კურსში ფასდება ესა თუ ის ინდიკატორი. ასევე, მითითებულია შეფასების კომპონენტი და მეთოდი, რომლითაც მოხდება კონკრეტული ინდიკატორის შეფასება (იხ. პროგრამის დანართი №4 - საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება).

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა ადგენს სამიზნე ნიშნულებს, რა შემთხვევაშიც სწავლის შედეგები ჩაითვლება მიღწეულად და რა შემთხვევა ჩაითვლება საყურადღებოდ. პროგრამის დანართით №4 დადგენილი სამიზნე ნიშნული და საყურადღებო შედეგი შემდეგნაირადაა ფორმულირებული: სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული შედეგებიდან საყურადღებოდ ითვლება შედეგი როცა შემოწმებული ნაშრომების 10%-ზე მეტი შეფასების რომელიმე ინდიკატორში ფასდება შეფასების დონით „არ აკმაყოფილებს“. ამ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მეტწილად ვერ მიიღწევა და ამდენად, საჭიროა მიზეზების კვლევა. პროგრამისთვის აღნიშნული დანართი 2020-2021 აკადემიური წელს შეიქმნა და განახლდა 2021-2022 აკადემიურ წელს პროგრამის განახლების შესაბამისად. სწავლის შედეგების შეფასების რუკა იძლევა საწყის წერტილს, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლოა შეფასდეს შედეგების მიღწევის დინამიკა სასწავლო წლების მიხედვით. ზემოხსენებული დანართით შედეგების შეფასება პროგრამაში დაგეგმილია 2023-2024 აკადემიური წლიდან, რადგან ახლად გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის აუცილებელია, რომ განახლებულ პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან გასული იყოს გარკვეული პერიოდი.

შეფასების პირდაპირი მეთოდები ასევე მოიცავს სასწავლო კურსზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებასა და ანალიზს, რაც გულისხმობს კონკრეტულ სასწავლო კურსებში სტუდენტის საბოლოო შეფასებების ანალიზს. პირდაპირი მეთოდით შეფასების პროცესში მონაწილეობს სპეციალობის სავალდებულო ყველა კომპონენტი და კომპონენტზე დარეგისტრირებული ყველა სტუდენტი. მოწმდება თითოეულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტთა რამდენი პროცენტი იღებს შეფასებას A (ფრიადი) და შეფასებას F (ჩაიჭრა). იმისათვის, რომ შედეგები იყოს ლოგიკური, მოწმდება ისეთი ჯგუფები, სადაც კონკრეტულ სასწავლო კომპონენტზე დარეგისტრირებულია 10 სტუდენტზე მეტი. პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული შედეგებიდან 25 სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამაზე საყურადღებოდ ითვლება ორი სახის შედეგი:

1. სტუდენტთა 10%-ზე მეტი მუდმივად იღებს უმაღლეს შეფასებას (A (ფრიადი) – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა). ამ შემთხვევაში სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება ჩაითვალოს ზედმეტად მარტივად მისაღწევად და ამდენად საკითხი საჭიროებს კვლევას.
2. სტუდენტთა 10%-ზე მეტი მუდმივად იღებს უარყოფით შეფასებას (F (ჩაიჭრა) – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები). ამ შემთხვევაში სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები ხშირ შემთხვევაში ვერ მიიღწევა და ამდენად

საკითხი საჭიროებს კვლევას. დაკვირვება სავალდებულოა განხორციელდეს რეგულარუად (დაკვირვება დინამიკაში), რათა გამოიკვეთოს, თუ რამდენად მუდმივ ხასიათს ატარებს ზემოაღნიშნული პრობლემა კონკრეტულ სასწავლო კომპონენტში (მეტ-ნაკლებად გამოირიცხოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ძლიერი ჯგუფი ან პირიქით, სუსტი ჯგუფი) და შესაბამისად, გამოიკვეთოს რეაგირების საჭიროება.

დაკვირვება ხორციელდება ყოველსემესტრულად, ყოველ ჯერზე შეისწავლება და ანალიზდება ბოლო სამი წლის მონაცემები. რეაგირება შესაძლებელია განხორციელდეს, ასევე ყოველსემესტრულად იმ შემთხვევაში, თუ ბოლო 3 წლის მონაცემების დაკვირვების საფუძველზე ერთსა და იმავე სასწავლო კურსში ყოველწლიურად ფიქსირდება ზემოაღნიშნული საყურადღებო შედეგი. პირდაპირი მეთოდით შეფასების დროს, აღნიშნული საყურადღებო შემთხვევის გარდა, ყველა სხვა შემთხვევაში ითვლება, რომ სასწავლო კომპონენტი და შესაბამისად პროგრამა გადის შესაბამისი სასწავლო კომპონენტითა და პროგრამით დასახულ სწავლის შედეგებზე და არ დგას სასწავლო კომპონენტისა და/ან პროგრამის მოდიფიცირების საჭიროება. თუმცა, რეაგირება შესაძლებელია საჭიროდ ჩაითვალოს სხვა შემთხვევაშიც, შეფასების პროცესში ჩართული მხარეების არგუმენტირებული გადაწყვეტილების საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში რეაგირება გულისხმობს 2 ეტაპს:

1. მიზეზების კვლევა - თვისებრივი კვლევა ფოკუს ჯგუფის ან პირისპირ ინტერვიუირების მეთოდით, რაც შეიძლება განხორციელდეს კონკრეტული სასწავლო კომპონენტის ლექტორებთან და სტუდენტებთან გასაუბრების, სასწავლო კომპონენტის სილაბუსისა და ნაშრომების სიღრმისეული შესწავლის გზით;
2. გამოკვეთილი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა - რაც გულისხმობს პროგრამის და/ან სასწავლო კომპონენტის ფარგლებში გარკვეული ცვლილებების განხორციელებას; მაგალითად, ისეთის, როგორიცაა:
   - სასწავლო კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების შეცვლა;
   - სასწავლო კომპონენტის კრედიტებისა და შესაბამისად კომპონენტის ასათვისებლად გამოყოფილი სამუშაო საათების შეცვლა;
   - სასწავლო კომპონენტის ფარგლებში ლექტორთან საკონტაქტო საათების შეცვლა;
   - სასწავლო კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდებისა და 26 შეფასების ფორმების შეცვლა;
   - სასწავლო კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურის შეცვლა;
   - სასწავლო კურსის წინაპირობის დაწესება ან შეცვლა და ა. შ.

აღნიშნული მეთოდოლოგია შემუშავდა 2020 წლიდან. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში 2020-2021 აკადემიური წლიდან მიმდინარეობს აკადემიური მოსწრების ანალიზი და დაკვირვება, ანალიზის საფუძველზე საყურადღებო საკითხების გამოვლენა. აღნიშნული კვლევის შედეგად პროგრამის ფარგლებში გამოვლინდა გარკვეული საყურადღებო საკითხები, რომელთა მიზეზებისა და რეგირების საჭიროებების კვლევის მიზნით მიმდინარეობს პროცესის დინამიკაში დაკვირვება. კერძოდ, სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით დაკვირვება და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი განხორციელდება ყოველსემესტრულად, რათა გამოვლინდეს საყურადღებო საკითხების არსებობის შემთხვევაში, რამდენად მუდმივ ხასიათს ატარებს გამოვლენილი შედეგები კონკრეტულ სასწავლო კომპონენტში. გამოვლენილი საყურადღებო შედეგების შესწავლის საფუძველზე მოხდება რეაგირების საჭიროებების დადგენა და განხორციელდება შესაბამისი რეაგირება. ასევე, აღსანიშავია ის გარემოება, რომ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად პროგრამის ფარგლებში დღემდე არსებული მონაცემები არ ითვლება ვალიდურად

სასწავლო კურსებზე არსებული სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე, ვინაიდან ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით საყურადღებოდ განიხილება სამიზნე ნიშნულებიდან გადაცდენა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა სასწავლო კურსზე ირიცხება 10 სტუდენტზე მეტი, რაც არ სრულდება პროგრამის ფარგლებში არცერთი სასწავლო კურსის შემთხვევაში. თუმცა უნდა აღინიშნოს კონკრეტული შემთხვევები, სადაც სამიზნე ნიშნულებიდან მნიშვნელოვანი გადაცდენა ჩაითვალა საყურადღებოდ არავალიდური, არასრული მონაცემების მიუხედავად: ერთწლიანი დარკვირვება, ჯგუფებში არასათანადო რაოდენობის სტუდენტები. აღნიშნულ შემთხვევებში შედეგების მიზეზების კვლევისა და რეაგირების მიზნით განხორციელდა სასწავლო კურსის ლექტორებთან გასაუბრება, რის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: 2020-2021 აკადემიური წელს ქვეყანაში არსებული პანდემიური მდგომარეობის გამო სასწავლო პროცესი წარიმართა დისტანციურად, დაფიქსირდა სტუდენტთა მიერ სასწავლო პროცესში ჩართულობის მნიშვნელოვნად დაბალი მაჩვენებელი, აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით კი სტუდენტთა მიერ არ განხორციელებულა სასწავლო თემატიკის შესაბამის ვადებში (კვირეული) ათვისება, რაც აისახება მათ საბოლოო შეფასებაზე. საგულიხმო ფაქტია, რომ დაფიქსირებული დაბალი დასწრების გამო, რომლის მიზეზადაც დასახელებულია სტუდენტთა დასაქმება, 2021-2022 აკადემიური წლიდან დაწესებულებაში დაინერგა პროგრამის სტუდენტებისათვის ლექციების არასამუშაო საათებში დანიშვნის და ამასთანავე, ლექციების ვიდეო ჩანაწერების მუდლის პლატფორმაზე განთავსების პრაქტიკა (იხ. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, ანალიზის შედეგების გათვალისწინების ანგარიში).

აღსანიშნავია, რომ პროგრამა ბოლო წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა: განახლდა პროგრამის სასწავლო გეგმა, გადაიხედა და გადამუშავდა სასწავლო კურსები, სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და შეფასების მეთოდები, 27 ლიტერატურა და ა.შ. რაც ვფიქრობთ, გარკვეულწილად განაპირობებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას პროგრამით დასახული სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირ მეთოდად გამოიყენება კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი. დამსაქმებლები აფასებენ მათთან დასაქმებული სტუდენტის ან კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღებულ ცოდნასა და უნარებს, კურსდამთავრებულები კი აფასებენ საკუთარ ცოდნასა და უნარებს, რაც არაპირდაპირი გზით პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების საშუალებას იძლევა. აღსანიშნავია, რომ 2020-2021 აკადემიურ წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით პროგრამის დასრულების შედეგად მიღებულ ცოდნასა და უნარებს გამოკითხული რესპონდენტი დადებითად (მაქსიმალური 5 ქულიდან 4 ქულით) აფასებს. კვლევისას, რესპონდენტის მიერ მოხდა პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების შეფასება, კერძოდ, პროგრამის ფარგლებში მიღებული დარგობრივი ცოდნა მაქსიმალური 5 ქულიდან 4 ქულით შეფასდა, პროგრამის ფარგლებში გამომუშავებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნების გაკეთებისა და ანალიტიკური აზროვნების უნარი, გუნდური მუშაობის და კომუნიკაციის უნარები, დაგეგმვის და პროცესების მართვის უნარი მაქსიმალური 5 ქულით შეფასდა, ლიდერობის უნარი მაქსიმალური 5 ქულიდან 4 ქულით შეფასდა და ა.შ. გამოკითხულ რესპოდენტს არ წარმოუდგენია საკუთარი მოსაზრებები იმის შესახებ თუ რას შეცვლიდა და/ან რას არ შეცვლიდა წარმოდგენილ პროგრამაში, არ გამოუთქვამს დამატებითი მოსაზრებები პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის არაპირდაპირი მეთოდით შეფასების შედეგად დასტურდება პროგრამის დადებითად შეფასება, შესაბამისად, გამოკითხვისა და შეფასების საფუძველზე პროგრამაში დამატებითი ცვლილებების

განხორციელების საჭიროება არ გამოკვეთილა (იხ. კურსდამთავრებულების მიერ პროგრამის არაპირდაპირი შეფასების შედეგები, შედეგების ანალიზი და გამოყენების ანგარიში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები; ○ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია; ○ დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში; ○ სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში; ○ კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში; ○ პროგრამის განმახორციელებელი მოწვეული და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის 28 შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში; ○ საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, ანალიზის შედეგების გათვალისწინების ანგარიში; ○ საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასების შედეგები, შედეგების გათვალისწინების ანგარიში; ○ საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები. ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას. პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები ითვალისწინებს: • შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარებას სეპციალობაში. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები და შეფასების კრიტერიუმები განთავსდება დაწესებულების ვებ-გვერდზე (www.unik.edu.ge) გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ სამი თვით ადრე. • შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარებას ინგლისურ ენაში, რომლის შედეგებით აუცილებელია დადასტურდეს ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა. ინგლისური ენის ცოდნის დონის დადგენა ხორციელდება მოქმედი „ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის" შესაბამისად. ინგლისური ენის დონის დადასტურება ასევე შესაძლებელია შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტით. ასეთ დასტურად ითვლება კანდიდატის მიერ ინგლისურენოვანი „საბაკალავრო პროგრამის" დასრულება (საქართველოში ან საზღვარგარეთ). ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ვინაიდან პროგრამაზე სწავლის სურვილი შეიძლება გაუჩნდეს საზღვარგარეთ ან საქართველოში ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებულ მოქალაქეებსაც (კვალიფიკაციის შეცვლის ან სხვა მიზნით), სასურველია - ინგლისურ ენაში B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტად აპლიკანტის მიერ საქართველოში ან საზღვარგარეთ ინგლისურენოვანი „საბაკალავრო პროგრამის" დასრულების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ასევე ჩაითვალოს ინგლისურენოვანი „სამაგისტრო პროგრამის" დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტიც (საქართველოში ან საზღვარგარეთ). პროგრამა განსაზღვრავს მიღების პირობებს შიდა/გარე მობილობის საფუძველზე, ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. კერძოდ: • პროგრამაზე დაიშვებიან „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები; • პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე დაიშვებიან პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის

გარეშე. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებით აღნისნული პირები არ თავისუფლდებიან შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებისგან. გარდა მისა, პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაცია (საგანმანათლებლო პროგრამა, თვითშფასება) და ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას, შინაარსს, პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს. ამგვარად, პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს ისეთი კომპეტენციების მქონე კანდიდატების დაშვებას პროგრამაზე, რომელთაც შეეძლებათ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია ინგლისურ ენაში B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტად კანდიდატის მიერ საქართველოში ან საზღვარგარეთ ინგლისურენოვანი „საბაკალავრო პროგრამის“ დასრულების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ასევე ჩაითვალოს ინგლისურენოვანი „სამაგისტრო პროგრამის“ დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტიც (საქართველოში ან საზღვარგარეთ).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შემუშავებულია ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ14 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების“ დოკუმენტით განსაზღვრული წესისა და პროცედურის შესაბამისად. პროგრამა

ეფუძნება კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS), ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას.

პროგრამის მოცულობა 120 კრედიტია (3000 სთ), ერთი კრედიტის მოცულობაა 25 საათი. პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 2 აკადემირ წელს ანუ 4 სემესტრს. პროგრამა ითვალისწინებს:

- ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებს, 81 კრედიტის მოცულობით;
- თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსებს, 14 კრედიტის მოცულობით;
- კვლევით კომპონენტს სამაგისტრო ნაშრომის სახით, 25 კრედიტის მოცულობით.
- ძირითადი სწავლის სფეროს და თავისუფალი კომპონენტები ითვალისწინებენ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს.

პროგრამის სასწავლო გეგმაში და წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტის მოცულობა შეადგენს 73 კრედიტს, ხოლო ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტის, მათ შორის პროფესიული პრატიკის მოცულობა შეადგენს 8 კრედიტს. თუმცა, პროგრამაში (გვ. 13) აღნიშნულია, რომ *„პროფესიული პრაქტიკის გავლა სავალდებულოა ყველა მაგისტრანტისთვის გარდა იმ მაგისტრანტებისა, რომლებიც დასაქმებულები არიან, ბუღალტრად, ფინანსურ მენეჯერად, აუდიტორად, აუდიტორული კომპანიის სპეციალისტად. ასეთ მაგისტრანტებს უფლება აქვთ სურვილის შემთხვევაში პროფესიული პრაქტიკა აითვისონ, როგორც არჩევითი კომპონენტი. სტუდენტი, რომლისთვისაც სავალდებულოა პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის არჩევა, თავისუფლდება ძირითადი სწავლის სფეროს სხვა არჩევითი სასწავლო კურსებისგან“.* აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანს ხდის „პროფესიული პრაქტიკის“ სტატუსს - არჩევითია თუ სავალდებულო? გარდა ამისა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის საკმარისი განმარტებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემთხვევაში თავისუფლდება სტუდენტი პროფესიული პრაქტიკისგან, ჩანაწერში მითითებულია, რომ პროფესიული პრაქტიკისგან თავისუფლდებიან სტუდენტები *„რომლებიც დასაქმებულები არიან, ბუღალტრად, ფინანსურ მენეჯერად, აუდიტორად, აუდიტორული კომპანიის სპეციალისტად“,* თუმცა ეს ჩანაწერი საჭიროებს უფრო მეტ დეტალურ განმარტებას (თუ სტუდენტი დასაქმებული უნდა იყოს პრაქტიკის კომპონენტის არჩევის დროს, მაშინ რატომ არ თავისუფლდებიან ის სტუდენტები, რომლებსაც გააჩნიათ აღნიშნულ, ან უფრო მაღალ თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება და მოცემულ მომენტში (მეოთხე სემესტრის დასაწყისში)? გარდა ამისა, თუ სტუდენტი გათავისუფლდება პროფესიული პრაქტისაგან, წარმოდგენილი სასწავლო გემის მიხედვით, მას უკვე აღარ აქვს საშუალება აირჩიოს სხვა არჩევითი სასწავლო კურსები და დააგროვოს პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტი.

ინტერვიუს დროს პროფესიული პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებით კითხვა დაისვა თვითშეფასების ჯგუფის წარმომადგენლების, პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალის წინაშე. წარმოდგენილი პასუხები საკამრისი არ აღმოჩნდა ესქპერტთა ჯგუფის წევრებისათვის. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია მკაფიოდ განისაზღვროს „პროფესიული პრაქტიკის“ კომპონენტის სტატუსი. თუ პროფესიული პრაქტიკა იქნება არჩევითი სასწავლო კომპონენტი, მაშინ იმავე (მეოთხე) სემესტრში აუცილებლად უნდა იყოს იგივე მოცულობის (8 კრედიტი) სხვა სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობა. ასევე აუცილებელია შესაბამის დოკუმენტებში ან საგანმანათლებლო პროგრამაში დეტალურად გაიწეროს „პროფესიული პრაქტიკის“ კომპონენტის გავლისგან სტუდენტის გათავისუფლების პირობები და პროცედურები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3

ბრძანების შესაბამისად.

პროგრამაში თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობა შეადგენს 9 კრედიტს, არჩევითი სასწავლო კურსების მოცულობა კი 5 კრედიტს. თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა შესაძლებელია უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი პროგრამიდან სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით. გარდა ამისა, თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი კრედიტების ათვისება შესაძლებელია ამავე პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებით.

დაინტერესებულ მხარეებთან (დამსაქმებლებთან) ინტერვიუს დროს დაფიქსირდა, რომ აუცილებელია კურსდამთავრებულები ფლობდნენ კომუნიკაციებისა და მოლაპარაკებების უფრო მეტ კომპეტენციებს. საკითხი განხილული იქნა პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს. ექსპერტთა ჯგუფის წევრები მიიჩნევენ, რომ რეკომენდებულია სასწავლო გეგმაში ძირითადი სწავლის სფეროს კურსებს დაემატოს „ბიზნესკომუნიკაციების და მოლაპარაკებების ხელოვნების“ ან სხვა მსგავსი შინაარსის სასწავლო კურსი, რომელიც გააძლიერებს კურსდამთავრებულის კომპეტენციებს კომუნიკაციების მიმართულებით.

პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება *„ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბუღალტრო აღრიცხვაში“.* პროგრამაში (სასწავლო გეგმაში) წარმოდგენილია შესაბამის სფეროში ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციის მინიჭებისათვის საჭირო სასწავლო კურსები, თუმცა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს შორის არ ფიგურირებს სასწავლო კურსები მარკეტინგის მიმართულებით, არჩევით სასწავლო კურსებში კი გვხვდება „სტრატეგიული მარკეტინგის“ სასწავლო კურსი. ინტერვიუს დროს შესაბამისი კითხვით მივმართეთ პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს. ინტერვიუში ჩართული პერსონალი და ექსპერთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ „სტრატეგიული მარკეტინგის“ სასწავლო კურსი არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადმოტანილ უნდა იქნას სავალდებულო სასწავლო კურსების ჯგუფში.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის მაგისტრატურის საფეხურის შესაბამის განათლებას და პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბუღალტრო აღრიცხვაში) შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბუღალტრო საქმე და აუდუტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის სასწავლო გეგმა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- დაინტერესებულ მახარეებთან ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;
- ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ14 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების“ დოკუმენტი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მკაფიოდ განისაზღვროს „პროფესიული პრაქტიკის“ კომპონენტის სტატუსი. თუ პროფესიული პრაქტიკა იქნება არჩევითი სასწავლო კომპონენტი, მაშინ სასწავლო გეგმით იმავე (მეოთხე) სემესტრში აუცილებლად უნდა იყოს იგივე მოცულობის (რვა კრედიტი) სხვა სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობა. ასევე აუცილებელია სახელმძღვანელო დოკუმენტებში ან საგანმანათლებლო პროგრამაში დეტალურად გაიწეროს „პროფესიული პრაქტიკის“ კომპონენტის გავლისგან სტუდენტის გათავისუფლების პირობები და პროცედურები,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანების შესაბამისად. ○ სასურველია, სასწავლო გეგმაში ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებს დაემატოს „ბიზნეს კომუნიკაციების და მოლაპარაკებების ხელოვნების“ ან სხვა მსგავსი შინაარსის სასწავლო კურსი, რომელიც გააძლიერებს კურსდამთავრებულის კომპეტენციებს კომუნიკაციების მიმართულებით. ○ სასურველია, „სტრატეგიული მარკეტინგის“ სასწავლო კურსი ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასსწავლო კურსებიდან გადმოტანილ იქნას სავალდებულო სასწავლო კურსებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/ კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსები აღწერს სასწავლო კომპონენტის სწავლის განხორციელების ორგანიზაციულ თავისებურებებს, წინაპიროებებს, სასწავლო კურსის სწავლების გეგმას და უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას სწავლისა და სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდებისა და სასურველი შედეგის მიღწევის შესახებ. პროგრამის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე იდენტიფიცირებულია სასწავლო კურსები, რომელთა სწავლის შედეგების ერთობლიობა ფარავს პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო სასწავლო კურსის შინაარსი - ამავე კურსის სწავლის შედეგებს. პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია და წარმოდგენილია „სწავლის შედეგების რუკა“, რომელიც იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას და რა ხარისხით (მაღალი, საშუალო ან დაბალი ხარსხით). ძირითადი სწავლის სფეროს თითოეული სასწავლო კურსი გადის პროგრამის ერთ სწავლის შედეგზე მაინც, ამასთან უზრუნველყოფილია პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მაღალი ხარისხით მიღწევა მინიმუმ ერთი ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსით. თითეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და ფორმულირებულია უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის (უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, მაგისტრატურა) შესაბამისად, მოქმედების გამომხატველი აქტიური ზმნების გამოყენებით. წარმოდგენილი მასალებით და აკადემიურ პერსოლათან გასაუბრებით გამოიკვეთა ცალკეული მიგნებები სასწავლო კურსების ლიტერატურასთან მიმართებაში. კერძოდ:

1. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა უმეტესწილად თანამედროვეა, დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და შეესაბამება კურსის მიზანსა და სწავლების საფეხურს. თუმცა გვხვდება სასწავლო კურსები, რომლებშიც ძირითად ლიტერატურაში მითითებულია შედარებით მოძველებული სასწავლო მასალები. მაგალითად:
   - სასწავლო კურსი *„ბუღალტრული ანგარიშგება და ანალიზი“,* ძირითადი ლიტერატურა - კვატაშიძე ნ. ხორავა ა. ზ. გოგრიჭიანი, ფინანსური ანგარიშგება, თბ. 2011;
   - სასწავლო კურსი *„სტრატეგიული მენეჯმენტი“,* ძირითადი ლიტერატურა - ჩოხელი ე., სტრატეგიული მენეჯმენტი., თბ., 2013 წელი;
   - სასწავლო კურსი *„პრაქტიკული აუდიტი“,* ძირითადი ლიტერატურა - პ.კლდიაშვილი, ნ.ვაშაკიძე, დ.მაღლაკელიძე, „აუდიტი“, ქუთაისი, 2013 წ.;
   - სასწავლო კურსი *„შიდა აუდიტი“,* ძირითადი ლიტერატურა - პ. კლდიაშვილი, ნ. ვაშაკიძე, დ. მაღლაკელიძე, აუდიტი, ლექციების კურსი, ქუთაისი, 2013;
   - სასწავლო კურსი *„სამეცნიერო წერა“,* ძირითადი ლიტერატურა - დუნდუა მ. შავთვალაძე ნ. აკადემიური წერა, თბ., 2010:
   - სასწავლო კურსი *„საგადასახადო აღრიცხვა, ადმინისტრირება და აუდიტი“,* ძირითადი ლიტერატურა - გ. ურიდია, საგადასახადო აუდიტი, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2012.
2. ცალკეულ სასწავლო კურსებსი ძირითად ლიტერატურაში საწავლო მასალების სახით მითითებულია კოდექსები, კანონები და მთავრობის დადგენილებები. მაგალითად:
   - სასწავლო კურსი *„საგადასახადო აღრიცხვა, ადმინისტრირება და აუდიტი“*, ძირითადი ლიტერატურა - საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2010 (კოდიფიცირებული მიმდინარე მომენტისათვის);
   - სასწავლო კურსი *„ბუღალტრული ანგარიშგება და ანალიზი“,* ძირითადი ლიტერატურა - საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, თბ. 2016;
   - სასწავლო კურსი *„შიდა აუდიტი“*, ძირითადი ლიტერატურა - საქართველოს კანონი სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ; საქართველოს მთავრობის 26.12.2016 წ. #592 დადგენილება სისტემური აუდიტის სახელმძღვანელოს ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ; საქართველოს მთავრობის 26.12.2016 წ. #593 დადგენილება შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
   - სასწავლო კურსი *„საჯარო სექტორის აუდიტი“*, ძირითადი ლიტერატურა - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი - 28.10.2011; ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი.
3. ცალკეულ სასწავლო კურსებში ძირითად ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა. მაგ. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი „მენეჯერული ეკონომიკა“, არჩევითი სასწავლო კურსი „პროექტების მართვა“, არჩევითი სასწავლო კურსი „სტრატეგიული მარკეტინგი“. ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მსგავს სასწავლო კურსებში საჭიროა დამუშავდეს და სილაბუსებში აისახოს ქართულენოვანი სასწავლო მასალები (ლექტორის ჩანაწერები, რიდერები, სალექციო კურსები);
4. ცალკეულ სასწავლო კურსების ძირითად ლიტერატურაში ფიქსირდება სასწავლო მასალების დიდი რაოდენობა. მაგ. სასწავლო კურსი „ბიზნესის სამართლებრივი გარემო“, ძირითად ლიტერატურაში მითითებულია 37 დასახელების სასწავლო მასალა. იგივე სასწავლო კურსის პირველი სალექციო თემის ძირითად ლიტერატურაში მითითებულია 10 დასახელების სასწავლო მასალა. აღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდებულია თითოეულ თემაზე მითითებული იყოს გვერდები.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ რეკომენდირებულია განახლდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურა, აკადემიური პესრსონალის მიერ შემუშავდეს და სილაბუსებში აისახოს ქართულენოვანი სასწავლო მასალები, ასევე ძირითად ლიტერატურაში მითითებულ იქნას ოპტიმალური რაოდენობის სასწავლო მასალები.

სასწავლო მასალის თემატიკა დაძლევადია, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსისათვის დათმობილი კრედიტების მოცულობით, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განსაზღვრული საათების რაოდენობით, ასევე კურსის ხელმძღვანელის მიერ შერჩული სწავლება-სწავლის მეთოდებით. წარმოდგენილი მასალებით და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების, ასევე თეორიული და პრაქტიკული საათების თანაფარდობის შემუშავებსას გათვალისწინებულ იქნა სასწავლო კურსის სპეციფიკა, თავისებურებები, ასევე სწავლის შედეგებისა და შინაარსის სირთულე.

პროგრამის თითეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მისაღწევად გათვალისწინებულია სწავლება-სწავლის ადექვატური მეთოდები და აქტივობები, რაც გაწერილია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. წარმოდგენილია „სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა“, რომელიც აღწერს პროგრამის რომელი სასწავლო შედეგი მიიღწევა სასწავლო კურსში გამოყენებიული თითოეული სწავლება-სწავლის მეთოდით და აქტივობით.

პროგრამის თითოეულ სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურადაა აღწერილი სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების კომპონენტები და მეთოდები. წარმოდგენილია „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია“, რომელშიც შეჯამებული და გაანალიზებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოყენებული შეფასების კომპონენტები და მეთოდები. სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების ადეკვატურობა ფასდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი თუ არაპირდაპირი მეთოდების გამოყენების და სწავლის შედეგების მიღწევის გაანალიზების საფუძველზე, რის შედეგადაც შესაძლებელია მათი გადახედვა პროგრამის ხელმძღვანელის, კომიტეტისა და კონკრეტული სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- პროგრამის სწავლის შედეგებისა რუკა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია განახლდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურა, აკადემიური პესრსონალის მიერ შემუშავდეს და სილაბუსებში აისახოს ქართულენოვანი სასწავლო მასალები, ასევე ძირითად ლიტერატურაში მითითებულ იქნას ოპტიმალური რაოდენობის სასწავლო მასალები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ორიენტირებულია მაგისტრანტებისთვის პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებაზე. არნიშნული უნარების განვითარებას ემსახურება როგორც პროგრამის ცალკეული კომპონენტი, ისე სასწავლო კურსების ფარგლებში კონკრეტული დავალების შესრულება. პრაქტიკული უნარეების განვითარებას ემსახურება პროგრამის კომპონენტი პროფესიული პრაქტიკის სახით, რომლის მოცულობაც შეადგენს 8 კრედიტს ანუ 200 სთ-ს. აქედან 179 სთ შეადგენს სტუდენტის საკონტაქტო მუშაობას (176 სთ პრაქტიკული მეცადინეობა პრაქტიკის ობიექტზე, 3 სთ სტუდენტის შეფასება), ხოლო 21 სთ სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას. პროფესიული პარქტიკის კომპონენტით სტუდენტების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები 12 ორგანიზაციასთან. თითოეულ მემორანდუმში ასახულია აკადემიური წლის განმავლობაში დაწესებულების მიერ მისაღები ჯგუფების რაოდენობა და ჯგუფებში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, რაც იძლევა პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის სრულყოფილი უზრუნველყოფის შეფასების შესაძლებლობას. პრაქტიკული უნარების განვითარებას ასევე ემსახურება პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა: „მონაცემების დამუშავება და ანალიზი Ms Excel-ის გამოყენებით“, „მმართველობითი აღრიცხვა გადაწყვეტილების მისაღებად“, „ფინანსური აღრიცხვა“, „ბუღალტრული ანგარიშგება და ანალიზი“, „პრაქტიკული აუდიტი“, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“, „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები“, „ფინანსური აღრიცხვის ელექტრონული პროგრამები“ და ა.შ., რომლებიც ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარება სათანადო მოცულობით უზრუნველყოფილია პროგრამის ცალკეულ სასწავლო კურსებში შესაბამისი აქტივობებისა და შეფასების მეთოდების გამოყენებით. სამეცნიერო-კვლეითი უნარების განვითარების მიზნით პროგრამა ითვალისწინებს „ბიზნესის კვლევის მეთოდების“ (5 კრედიტის მოცულობით) და „სამეცნიერო წერის“ (4 კრედიტის მოცულობით) სასწავლო კურსებს, რომელთა ფარგლებშიც მაგისტრანტები ახდენენ ემპირიული კვლევით მოპოვებული მონაცემების დამუშავებას, ანალიზსა და ინტერპრეტაციას. სამეცნიერო-კვლეითი უნარების განვითარების მიზნით პროგრამაში გათვალისწინებულია კვლევითი კომპონენტი „სამაგისტრო ნაშრომი“ (25 კრედიტის მოცულობით). სამაგისტრო

ნაშრომი აჯამებს მაგისტრანტის კვლევით უნარებს, წარმოაჩენს მაგისტრანტის მიერ კვლევის განხორციელების, სამეცნიერო ხასიათის ტექსტის მომზადების, გაფორმების, საჯაროდ წარდგენისა და დაცვის უნარებს. სამაგისტრო ნაშრომი სრულდება „ქუთაისის უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესით“ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბერის №ძ24 ბრძანებით) დადგენილი მოთხოვნებისა და „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

„სამაგისტრო ნაშრომის“ სასწავლო კომპონენტის სილაბუსში ფიქსირდება, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს *„ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად შეიძლება დაშვებულ იქნას განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილების და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი“.* ექსპერტთა ჯგუფის წევრების დაინტერესება გამოიწვია ჩანაწერის იმ ნაწილმა, სადაც საუბარია „განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილებისა და მაგისტრის აკადემიური ხარსხის მქონე პირზე“. შესაბამისი შეკითხვით მივმართეთ პროგრამის ხელმძღვანელს - რა იგულისხმება „განსაკუთრებულ პრაქტიკულ გამოცდილებაში“ და ხომ არ არის აღნიშნული ჩანაწერის რაიმე ფორმის განმარტება დაწესებულების სახელმძღვანელო დოკუმენტებში? აღმოჩნდა, რომ მსგავსი ჩანაწერი არ არსებობს. ამიტომაც, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ჩანაწერში შევიდეს ცვლილება და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად დაშვებულ იქნას „ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი სფეროსი დოქტორის აკადემიური ხარისხი. სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელად შეიძლება დაშვებულ იქნას განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილების და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი“. აქვე დაზუსტდეს კრიტერიუმები და კომპონენტები, რომელის გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება „განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილების პირის“ იდენტიფიცირება.

დაწესებულებაში მოქმედებს „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები“ (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ23 ბრძანებით). 2019 წლიდან მოქმედებს პლაგიატზე შემოწმების ელექტრონული პროგრამა „StrikePlagiarism.com”, რომელიც ხელს უწყობს პლაგიატის აღმოჩენას და უზრუნველყოფს სტუდენტებში აკადემიური კომუნიკაციის უნარების ჩამოყალიბებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბუღალტრო საქმე და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პრაქტიკის ობიეტებთან გაფორმებული თანამშორმლობის მემორანდუმები;
- წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები;
- პრატიკის განმახორიელებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის „სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის“ ჩანაწერში შევიდეს ცვლილება და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად დაშვებულ იქნას „ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი. სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელად შეიძლება დაშვებულ იქნას განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილების და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი“. აქვე დაზუსტდეს კრიტერიუმები და კომპონენტები, რომელის გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება „განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილების პირის“ იდენტიფიცირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამით დადგენილი კომპეტენციების და სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებულია სათანადო სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები (ლექცია, ინტერაქტიული ლექცია, ლექცია-დისკუსია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა/მეცადინეობა). ლექცია მოიცავს შემდეგ აქტივობებს: • ახსნა-განმარტება • აუდიო-ვიზუალური მუშაობა • დემონსტრირება. სამუშაო ჯგუფში მუშაობის ფარგლებში და პრაქტიკული მეცადინეობის/მუშაობის დროს გამოყენებული აქტივობებია: • დისკუსია/დებატები • ჯგუფური (გუნდური) მუშაობა • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება PBL (Problem-based learning) • ქმედებაზე დაფუძნებული სწავლება • შემთხვევის/სიტუაციის ანალიზი (Case study) • პრაქტიკული დავალებები • წიგნზე (წყაროზე) მუშაობა და წერითი მუშაობა • ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი • გონებრივი იერიში (Brainstorming) • ელექტრონული რესურსით სწავლება (E-learning) • თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება • პროექტებზე დაფუძნებული სწავლება • პრეზენტაცია (პროექტის/შემთხვევის/სიტუაციის ანალიზის/პრაქტიკული დავალების). თითოეული სასწავლო კურსის შინაარსის, სპეციფიკის, მოთხოვნებისა და სასწავლო კურსით მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით გამოიყენება სწავლება-სწავლის შესაბამისი მეთოდები და აქტივობები. სასწავლო კურსის სილაბუსი იძლევა დეტალურ ინფორმაციას გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების შესახებ. პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების პროგრამის

სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დადგენის, ასევე, მათი გამოყენებით სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია „სწავლებისა და სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა“, რომელიც აღწერს გამოყენებული სწავლება-სწავლის რომელი მეთოდები პროგრამით დასახული რომელი სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, რუკა მიუთითებს თუ რომელი მეთოდი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მაღალი, საშუალო თუ დაბალი ხარისხით მიღწევას. პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები (მითითებულია შესაბამის სილაბუსებში) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს (მაგისტრატურა)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საბუღალტრო საქმე და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები; ○ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასება დაფუძნებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფლობს თუ არა სტუდენტი სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“. პროგრამის სასწავლო/კვლევით კომპონენტში კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება არანაკლებ 51 ქულის მიღების შემთხვევაში. პროგრამის სასწავლო კომპონენტში სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შეფასების კომპონენტებით: შუალედური შეფასებით და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას. შეფასების სისტემა ითვალისწინებს: • 5 სახის დადებით შეფასებას: ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა; ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-

90 ქულა; ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა; ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

- 2 სახის უარყოფით შეფასებას: ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სასწავლო კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 42 %, დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%+1. სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს დადგენილისგან განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხვნის შესაბამისად.

პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) შეფასება ხდება ერთჟერადად, დასკვნითი შეფასებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისად.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემაში გათვალისწინებულია მისი სპეციფიკა, შეფასების კომპონენტები და მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს თუ რამდენად განივითარეს სტუდენტებმა პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგები. ცოდნის შეფასების ფორმები, კრიტერიუმები, მეთოდები და თითოეულ აქტივობაში ქულების დაანგარიშების წესი დეტალურად არის გაწერილი სასწავლო კურსის სილაბუსში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების და შეფასების წესი;

○ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი; ○ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია; ○ საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, ანალიზის შედეგების გათვალისწინების ანგარიში; ○ მასალების საკომუნიკაციოდ გამოყენებული Moodle-ის ელექტრონული პლატფორმა: http://unikmoodle.ge/; ○ ქუთაისის უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა: https://eunsis.unik.edu.ge/.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☒		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან

დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას, ასევე, მათ აქვთ კარიერულ განვითარებასთან მიმართებით მხარდაჭერა. მითითებულ საკითხებს ძირითადად არეგულირებს „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დებულება“, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და „საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი“. მოცემული ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომი როგორც სტუდენტებისთვის, ასევე სხვა ნებისმიერი დაინტერესებული პირებისთვის. შიდა სამართლებრივი აქტები შემუშავებულია და დამტკიცებულია შესაბამისი პასუხისმგებლობების მქონე სამსახურების მიერ და დაცულია სამართლიანობის, საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპები. აღსანიშნავია, რომ ყველა მნიშვნელოვანი უნივერსიტეტის თუ ფაკულტეტის დებულებები, წესები და რეგულაციები განთავსებულია დაწესებულების ოფიციალურ ვებ გვერდზე. დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. დაწესებულების არსებული ელექტრონული სისტემები საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ დროული და ადეკვატური ინფორმაცია საკუთარ მიღწევებთან, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, ასევე დაამყარონ კომუნიკაცია ლექტორებთან, ადმინისტრაციასთან, იხილონ აკადემიური ჯგუფის ცხრილი, აკადემიური კალენდარი და სხვა. ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები აქტიურად იღებენ მონაწილეობას დაწესებულების მიერ პერიოდულად განხორციელებულ გამოკითხვაში, რომელიც უკავშირდება საგნის ლექტორებს, სასწავლო კურსებს, საგამოცდო პროცესებსა, ნაშრომის ხელმძღვანელებისა და ადმინისტრაციის მუშაობის შეფასებას, რისი მიზანიცაა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება. დაწესებულება იყენებს 360-გრადუსიან შეფასების სისტემას, რაც უზრუნველყოფს რელევანტური ინფორმაციის ფლობას არსებულ სიტუაციაზე. გამოაშკარავებულ აქტუალურ საკითხებზე დაწესებულება მყისიერ რეაგირებას ახდენს. დადებითია ის ფაქტი, რომ დაწესებულება შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს ჩაერთონ უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში სამუშაო ჯგუფის სახით, რა საკითხზეც კონკურსი ცხადდება საჯაროდ და მასში მონაწილეობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს. საბიბლიოთეკო სისტემა მეტად მოქნილია და მორგებულია სტუდენტთა მოთხოვნებზე. წიგნადი ფონდი საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ვერსიებით. არსებული სივრცე აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, ასევე სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახითაც, რაც სრულად უზრუნველყოფს გამოცდების პერიოდში ამ მხრივ გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ბიბლიოთეკის ფარგლებში არსებული ელექტრონული სამეცნიერო ბაზებითა და კატალოგებით. ფაკულტეტის თანამშრომლები, კერძოდ, დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით სტუდენტთა კონსულტირებას. აღნიშნული დადასტურდა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების შედეგად. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ პროგრამის ფარგლებში დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრებით, რისთვისაც განკუთვნილია კვირაში ორი საათი. ინფორმაცია მოცემულ საკითხზე იდება ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ გამოყენებულ Moodle-ის

ელექტრონულ პლატფორმაზე. ვიზიტის პერიოდში სტუდენტებმა, ასევე კურსდამთავრებულებმა დადებითად შეაფასეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობა მიმართულია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების და დასაქმებისა ხელშეწყობისკენ. ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ ცენტრი მუდმივად გეგმავს და ატარებს სხვადასხვა აქტივობებს, ღონისძიებებს, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. იგი მუდმივად აგზავნის ინფორმაციას სტუდენტებთან გამოცხადებული ვაკანსიებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, როგორც კერძო დამსაქმებლებთან, ასევე საჯარო სტრუქტურულ ერთეულებთან, რაც დადებითი ფაქტია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძირითად პარტნიორებს წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირები, სასურველია დაწესებულებამ მეტი ძალისხმევა მიმართოს კერძო სექტორთან საპარტნიორო ხელშეკრულებების დადებისკენ. შესაბამისად სტუდენტებს მეტად მრავალფეროვანი არჩევანის საშუალება ექნებათ, სავალდებულო სასწავლო კურსის „პროფესიული პრაქტიკის“ გავლისას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ინტერვიუების მეშვეობით გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ცდილობს ხელი შეუწყოს სტუდენტების განვითარებას, მათი შესაძლებლობების წარმოჩენასა და სოციალურ/კულტურულ აქტივობას, როგორც დაწესებულებაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. დაწესებულებაში ხორციელდება სტუდენტთა მოთხოვნებზე ორიენტირებული სხვადასხვა ღონისძიებები, როგორც საგანმანათლებლო, სამეცნიერო/კვლევითი, ისე სპორტული მიმართულებით. დადებითი ფაქტია, რომ დაწესებულებას გააჩნია სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი, რაც ემსახურება სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერასა და წახალისებას.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ორმხრივი ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები 15 ქვეყნის 29 უნივერსიტეტთან, აგრეთვე ჩართულია ერაზმუს+ პროგრამაში. რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, ერთობლივ პროექტებში, კონფერენციებში, ვებინარებსა და სხვა სასწავლო კვლევით აქტივობებში. სტუდენტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების და სტუდენტთა შერჩევის პროცედურებსა და კრიტერიუმებს, სტუდენტთა საერთაშორისო აკადემიური მობილობაში მონაწილეობისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადების საკითხები არეგულირებს „საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის წესი“. იგი არის საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის. დაწესებულება სარგებლობს წევრის სტატუსით ისეთ საერთაშორისო ასოციაციებში, როგორიცაა: Businet და LECSA. რაც დამატებითი შესაძლებლობის ფანჯარას ხსნის სტუდენტებისთვის გაიღრმავონ ცოდნა, მიიღონ გამოცდილება, შეიძინონ ისეთი აუვილებელი უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარებათ სწავლის შემდგომ საფეხურებზე. დოკუმენტაციის შესწავლითა და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას გააჩნია ექსტრაკურიკულარული აქტივობების მრავალფეროვანი არჩევანი, სტუდენტთა მხრიდან მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის სურვილი საკმაოდ დაბალია. სასურველია დაწესებულებამ მეტი ძალისხმევა მიმართოს ამ კუთხით მხარეთა ინტერესის გაზრდა-გაღვივებისკენ.

დაწესებულება სტუდენტებთან კავშირის დასამყარებლად იყენებს სხვადასხვა საშუალებებს, კერძოდ, საინფორმაციო დაფებს, ელექტრონულ მეილების, ვებგვერდს, სოციალურ

ქსელებს, სატელეფონო ზარებს, საინფორმაციო შეხვედრებს. ეფექტიანი და სწრაფი კომუნიკაციისათვის დაწესებულებაში, მუშაობს ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია. ვიზიტის ფარგლებში სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დადებითად შეაფასეს ზემოხსენებული საკითხი.

ინტერვიუების მიმდინარეობისას დადასტურდა, რომ სტუდენტები ფლობენ საკმარის ცოდნას გასაჩივრებებისა და სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ, რაზეც რეაგირებას დაწესებულება დროულად და ადეკვატურად ახდენს. მოცემული ინფორმაცია განთავსებულია საჯაროდ და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. არსებულ საკითხს არეგულირებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და „საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დებულება;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსი;
- პროგრამის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციული პერონალის ფუნქციები;
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- უნივერსიტეტის, ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტი;
- ქუთაისის უნივერსიტეტის მატერიალური ბაზის დათვალიერება;
- ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ გვერდი www.unik.edu.ge
- ქუთაისის უნივერსიტეტის ელ. ბიბლიოთეკა https://www.unik.edu.ge/Library/16
- სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა http://unikmoodle.ge/moodle/
- სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა https://eunsis.unik.edu.ge/
- ღია კონკურსს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში მონაწილე სტუდენტთა სამუშაო ჯგუფის შესარჩევად https://www.unik.edu.ge/News/1245
- ლექტორებისა და სტუდენტების კმაყოფილების კვლევა
- კმაყოფილების კვლევის შედეგებზე რეაგირების ანგარიშები
- ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაწესებულებამ მეტი ძალისხმევა მიმართოს კერძო სექტორის დამსაქმებლებთან საპარტნიორო ხელშეკრულებების გაფორმებისკენ.
- სასურველია დაწესებულებამ მეტი ძალისხმევა მიმართოს ექსტრაკურიკულარული აქტივობებში, გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის გასაზრდელად და ინტერესის გასაღრმავებლად.
- სასურველია კარიერული სამსახურის გააქტიურება სტუნდენტთა დასაქმების მიზნით კვალიფიკაციის შესაბამისად; კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- საუკეთესო პრაქტიკად მივიჩნიეთ სტუდენტთა ჩართულობა სამუშაო ჯგუფის სახით უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომელთაც აქვთ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. პროგრამაში გათვალისწინებულია სავალდებულო კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომი, რისი თემისა და მასთან შესაბამისი ხელმძღვანელის შერჩევა ხორციელდება მეოთხე სემესტრის დასაწყისში. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის არჩევა ხდება სტუდენტის მიერ. ფაკულტეტის დეკანის მიერ საკითხის ინიცირების საფუძველზე, ხელმძღვანელს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. სტუდენტებს მიეწოდებათ შესაბამისი ინფორმაცია კვლევასთან დაკავშირებულ რეგულირებებზე, შეფასებაზე, რომელიც წარმოდგენილია დოკუმენტში „ქუთაისის უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი“, ასევე, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე სტუდენტს გააცნოს ზემოაღნიშნული ნორმები და გაუწიოს კონსულტაცია. დაწესებულებას დეტალურად აქვს განსაზღვრული მაგისტრანტის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები. სტუდენტები ინფორმირებულები არიან სამაგისტრო ნაშრომის ზოგად მოთხოვნებზე, წარდგენის, შეფასებისა და აპელაციის პროცესებზე. ეს ცნობები არის საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. პრორგამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა, რომელიც ხელმძღვანელობს სამაგისტრო ნაშრომებს, აკმაყოფილებს პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობას. ერთი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ შესაძლებელია ერთდროულად მაქსიმუმ 5 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამაგისტრო ნაშრომების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ ისინი აკმაყოფილებს აკადემიურ სამეცნიერო მოთხოვნებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევებში შეინიშნება გარკვეული ტექნიკური ხასიათის საკითხები, კერძოდ: ტექსტის დაკაბადონების წესში, სქოლიოებისა და ელექტრონული წყაროების მართებულად მითითებაში, სარჩევში წარმოდგენილ ნუმერაციებში, აგრეთვე ზოგიერთ შემთხვევებში გამოყენებულია მცირე რაოდენობის ლიტერატურა და ჩამონათვალში ელექტრონული წყაროები არ არის შესაბამისად დანომრილი. მნიშვნელოვანი აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ნაშრომები თავად დაწესებულების მიერაც შეფასებულია შედარებით დაბალი შეფასებით.

სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი მოწმდება პლაგიატის ელექტრონული პროგრამით ,,StrikePlagiarism.com”; ხელმძღვანელი უფლებამოსილია პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ერთხელ დაუბრუნოს ავტორს ნაშრომიდა მისცეს რეკომენდაციები. აღნიშნულის გამეორების შემთხვევაში ნაშრომი არ ფასდება და მაგისტრანტს ერთმევა იმავე ნაშრომის გადამუშავება-წარდგენის უფლება. ხელმძღვანელის დადებითი დასკვნის შემთხვევაში ნაშრომი გადაეცემა ორ რეცენზენტს დასკვნის მომზადების მიზნით. რეცენზენტთა დადებითი დასკვნისას, ნაშრომს დაიშვება საჯარო დაცვაზე და გადაეცემა სამაგისტრო ნაშრომის დაც-

ვის კომისიას შეფასების მიზნით. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, სამაგისტრო ნაშრომების პოტენციური ხელმძღვანელებისთვის დაწესებულება უზრუნველყოფს ტრენინგების ორგანიზებასა და შეთავაზებას მათი პროფესიული უნარების მეტად განვითარების მიზნით. მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლითა და ინტერვიუების მეშვეობით დადგინდა, რომ სტუდენტები სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას იღებენ სათანადო კონსულტაციას ხელმძღვანელებისგან, თუმცა სასურველია მეტი ყურადღება დეთმოს სტუდენტებისთვის კვლევაში წყაროების მართებულად მითითების წესების გაცნობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ წარმოდგენილი დაცული სამაგისტრო ნაშრომები; ○ აკადემიური, მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, CV-ები და ხელშეკრულებების ნიმუშები; ○ ინტერვიუს შედეგები (პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ/მოწვეიულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია მაგისტრანტების ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სტუდენტებისთვის ტექსტის დაკაბადონების წესების, სქოლიოებისა და წყაროების აკადემიური ორგანიზების ნორმების გაცნობას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვ-რული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედები-თი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის გამხორციელებაში ჩართულია 17 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათ შორის 9 აკადემიური პერსონალი და 8 მოწვეული პერსონალი. აკადემიურ პერსონალს შორის 4 პროფესორია (მათ შორის 3 აფილირებული), 5 ასოცირებული პროფესორი (მათ შორის 3 აფილირებული). ქუთაისის უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ16 ბრძანებით). მეთოდოლოგიის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა გამოითვლება პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში ჩასატარებელი საათებისა და პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობა, გამოიხატება მათ მიერ ზოგადად პროგრამის შინაარსობრივ შეფასებაშიც, კერძოდ, განახ-ლებული პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო გეგმის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ შეფასების მიზნით ჩატარდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგად პერსონალის მიერ დადები-თად შეფასდა განახლებული პროგრამა, პროგრამის მიზნები, შედეგები და სასწავლო გეგმა. პროგრამის ხელმძღვანელისა და კომიტეტის მიერ გაანალიზდა გამოკითხვის შედეგები და მოხდა შედეგების განხილვა და მიღებული რჩევების გათვალისწინება (იხ. აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში). პროგრამის განვითარების მიზნით შექმნილი პროგრამის კომიტეტის წევრები შერჩეულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან,

შესაბამისად, კომიტეტის სისტემატური შეკრებები და პროგრამის განხილვა კომიტეტის წევრების მიერ, უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებაში პერსონალის მუდმივ და აქტიურ ჩართულობას (დასტურდება პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმებით).

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს როგორც პრაქტიკული, ისე აკადემიურ სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, რაც დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

პროგრამის ხელმძღვანელს პროგრამის განვითარების პროცესში ეხმარება მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებულია სფეროს სპეციალისტებით (დასტურდება პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმებით). პროგრამების შემუშავებისა და განვითარების გარდა პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის განხორციელების პროცესში, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად იგი ახდენს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების მონიტორინგს, მუდმივად არის ჩართული სტუდენტთა კონსულტირების პროცესში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში შემდეგია: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - პროგრამის განხორციელებაში აღარ არის ჩართული 4 აკადემიური პერსონალი (ისინი კვლავ თანამშრომლობენ დაწესებულებასთან, უბრალოდ აღარ ანხორციელებენ კონკრეტულად საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას); ახალი აკადემიური პერსონალის რაოდენობა - 2; 5 წელზე მეტი სტაჟის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა - 7. მოწვეული პერსონალის შემთხვევაში: პროგრამის განხორციელებაში აღარ არის ჩართული 3 მოწვეული პერსონალი (ისინი კვლავ თანამშრომლობენ დაწესებულებასთან, უბრალოდ აღარ ანხორციელებენ კონკრეტულად საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას); ახალი მოწვეული პერსონალის რაოდენობა - 8 (მათ შორის პერსონალი, რომელიც დიდი ხანია თანამშრომლობს ქუთაისის უნივერსიტეტთან, მაგრამ არ იყო ჩართული კონკრეტულად საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში); 5 წელზე მეტი სტაჟის მქონე მოწვეული პერსონალის რაოდენობა - 1.

პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის დენადობასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული მონაცემები ცხადყოფენ პროგრამის მდგრად განხორციელებას. პროგრამის განხორციელების პროცესში, პროცესების ადმინისტრირების და სტუდენტთა მომსახურების მიზნით ჩართულია ადმინისტრაციული პერსონალი, კერძოდ, ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი (1 თანამშრომელი), სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი (2 თანამშრომელი), საგამოცდო ცენტრი (1 თანამშრომელი), საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური (3 თანამშრომელი), ბიბლიოთეკა (3 თანამშრომელი), ჯამში 12 ადმინისტრაციული პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტი პერსონალის შერჩევის წესი;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გათვალისწინების ანგარიში;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ს ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება დაწესებულებაში ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ:

1. აკადემიური პერსონალი ფასდება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით. უნივერსიტეტში შემუშავებულია „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“ (დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 7 ოქტომბრის №ძ51 ბრძანებით), რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის შესაძლო სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები და თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია შესაბამისი ქულა. ზემოაღნიშნული წესი, თითოეული აკადემიური პოზიციის შემთხვევაში, განსაზღვრავს მინიმალურ მოთხოვნებს (აფილირებული პროფესორი ვალდებულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით ყოველწლიურად დააგროვოს მინიმუმ 50 ქულა, პროფესორი - მინიმუმ 30 ქულა, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - მინიმუმ 40 ქულა, ასოცირებული პროფესორი - მინიმუმ 25 ქულა, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი - მინიმუმ 30 ქულა, ასისტენ-პროფესორი - მინიმუმ 20 ქულა, აფილირებული ასისტენტი - მინიმუმ 20 ქულა, ასისტენტი - მინიმუმ 10 ქულა). დადგენილი მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილების შემხთხვევაში უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი იღებს წესით განსაზღვრული მოცულობის ანაზღაურებას, კერძოდ, აფილირებული პროფესორი - 3000 ლარის ოდენობით, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - 2500 ლარის ოდენობით, აფილირე-

ბული ასისტენტ-პროფესორი - 2000 ლარის ოდენობით, აფილირებული ასისტენტი - 1500 ლარის ოდენობით, რაც დაწესებულების მხრიდან მათი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსურ ხელშეწყობად და მხარდაჭერად განიხილება. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით აფასებს მიღებულ შედეგებს, აანალიზებს და ადგენს აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საჭიროებებს და გეგმავს ხელშეწყობის მიმართულებებსა და ხელშეწყობისთვის საჭირო აქტივობებს. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება დაწესებულებაში პირველად განხორციელდა 2020-2021 აკადემიური წლის ბოლოს და განხორციელდება ყოველწლიურად. 2020-2021 აკადემიური წლის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ანგარიშების საფუძველზე გაცემულია აფილირების ანაზღაურება (იხ. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშები).

2. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ასევე ფასდება მათი აკადემიური საქმიანობის მიხედვით (შეფასების პროცესი რეგულირდება „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესით“), რაც გულისხმობს პერსონალის შეფასებას სტუდენტის, დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებისა და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების მიერ. აღნიშნული ადმინისტრაციული პერსონალი აფასებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მათთან თანამშრომლობის, აკადემიური პროცესის სათანადოდ წარმართვის საკითხებს წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, ხოლო სტუდენტები - ასევე წინასწარ შემუშავებული კითხვარის საშუალებით, სასწავლო კურსის წარმართვის პროცესში ლექტორით კმაყოფილების საკითხს, მათ მიერ გამოყენებულ სწავლების და შეფასების მეთოდებს, ლექტორის მიერ ლექციის წარმართვის, ახსნის, ცოდნის გადაცემის უნარებს და ა.შ. გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ქუთაისის უნივერსიტეტის ელექტრონულ პლატფორმას, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემას: (https://eunsis.unik.edu.ge/) და survey monkey-ს ელექტრონულ პლატფორმას. შეფასების შედეგები ჯამდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და დგება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური რეიტინგი ფაკულტეტების მიხედვით. წლიურ რეიტინგს ასევე ემატება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური შეფასების შედეგები. აკადემიური პერსონალის შემთხვევაში კი საბოლოო შეფასებების განსაზღვრული პროცენტული წილი ასევე ეთმობა პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგებს. შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის წახალისების მიზნით, კერძოდ სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის თითოეულ ფაკულტეტზე განსაზღვრულია ფულადი ჯილდოები (აკადემიური პერსონალის შემთხვევაში: I ადგილი - 1500 ლარი, II ადგილი - 1000 ლარი, III ადგილი - 500 ლარი); მოწვეული პერსონალის შემთხვევაში: I ადგილი - 1000 ლარი, II - ადგილი - 700 ლარი, III ადგილი - 400 ლარი). პერსონალის დაჯილდოვება დაწესებულების მიერ ხორციელდება საჯაროდ: https://unik.edu.ge/News/1204, რაც ადმინისტრაციის შეხედულებით ზრდის პერსონალის მოტივაციას გააუმჯობესონ შეფასების შედეგები. ინფორმაცია აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეიტინგების შესახებ განთავსებულია ვებგვერდზე (https://unik.edu.ge/FacultyOfSocialSciences/165), რაც ემსახურება იგივე მიზანს და ადმინისტრაციის შეხედულებით აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობა გაზრდის სტუდენტთა მოტივაციასაც მიიღონ აქტიური მონაწილეობა დაწესებულების მიერ ჩატარებულ კვლევებსა და გამოკითხვის პროცესში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზემოაღნიშნული წესით შეფასება დაწესებულებაში განხორციელდა 2020-

2021 აკადემიურ წელს, შეფასების შედეგად დადგენილია რეიტინგები და გაცემულია დაჯილდოვების თანხები. შეფასების შედეგები გამოიყენება ასევე პერსონალის საჭიროებების, საყურადღებო საკითხების იდენტიფიცირების და მიღებული შედეგების გაუმჯობესებისთვის. მიღებული შეფასების შედეგები ამ მიზნით ეგზავნება თითოეულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ინდივიდუალურად, ასევე, პროგრამის ხელმძღვანელებსა და დეკანებს შესწავლისა და რეაგირებისთვის. ფაკულტეტის დეკანი რეაგირების ანგარიშს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს რეაგირების პროცესების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით. ანგარიშში აღწერილია გამოვლენილი საყურადღებო შედეგების გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, უკვე განხორციელებული აქტივობები, ასევე, სამომავლო რეაგირების გეგმა (დეტალებისთვის იხ. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები).

3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება ასევე გულისხმობს სააუდიტორო საქმიანობის შეფასებას (შეფასების პროცესი რეგულირდება „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურების“ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ17 ბრძანებით) შესაბამისად. შეფასება ხორციელდება რამდენიმე შემთხვევაში, მათ შორის, პერსონალის მიერ უნივერსიტეტში პედაგოგიური საქმიანობის პირველად განხორციელების, სტუდენტთა გამოკითხვის საფუძვლეზე საჭიროების გამოკვეთის, წინა დაკვირვების საფუძველზე საყურადღებო საკითხების დაფიქსირების შემთხვევაში. შეფასების პროცესში მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, სფეროს ან მომიჯნავე სფეროს სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის წარმომადგენელი. შეფასება ხორციელდება თითოეული მონაწილის მიერ ინდივიდუალურად. შეფასების დაჯამებული შედეგები და უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეგზავნება აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს ინდივიდუალურად. შეფასების უმნიშვნელოვანესი მიზანია კოლეგებს შორის არსებული საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება, ამასთან, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. შეფასების შედეგები ასევე ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელსა და დეკანს საჭიროების შემთხვევაში რეაგირებისთვის. დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელები აანალიზებენ შეფასების შედეგებს, განსაზღვრავენ პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტი ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშროლობს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრთან პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი ტრენინგების ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში დაფიქსირებულია როგორც საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირებისა და გაზიარების მაგალითი, ასევე საჭიროებების აღმოჩენის შემთხვევები კონკრეტულ პერსონალთან დაკავშირებით.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებისა და სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულებით დაწესებულებაში შექმნილია სხვადასხვა პირობები: მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში 2006 წლიდან ბეჭდური სახით (ISSN – 1512-3901), ხოლო 2017 წლიდან ელექტრონული სახით (eISSN – 2587-5310) გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი“ (http://economicprofile.org/). ჟურნალი ღია წვდომაშია. ჟურნალის ყველა ნომერი განთავსებულია ელექტრონული ფორმით საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (ფონდი „ივერიელი“). „ეკონომიკური პროფილი“ რეგისტრირებულია შემდეგ საერთაშორისო ბაზებში: Crossref, DOAJ (Directory of Open Access Journals), ICI World of

Journals global database, Academic Resource Index (ResearchBib). 2020 წლიდან ჟურნალის ყველა ნომერს და ნომრის ყველა სტატიას ენიჭება ინდივიდუალური ციფრული ობიექტის იდენტიფიკატორი (DOI).

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ რეგულარულად ტარდება ტრენინგები პერსონალის საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით: საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის 2020-2022 წლისთვის ტრენინგ-მოდულებში მონაწილეობის მაჩვენენებელია 15 (ჯამური რიცხვი). პერსონალის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით არსებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე, პარტნიორ უნივერსიტეტებთან ხშირად იმართება საჯარო ვებინარები. პერსონალის საქმიანობის ხელშეწყობის მიზანს ემსახურება ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობისთვის საერთაშორისო ხასიათის მიცემას, სხვადასხვა ქვეყნისა და უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოებებს შორის კვლევის შედეგების გაზიარებას. საბოლოო ჯამში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია ემსახურება დაწესებულებაში კვლევის საერთაშორისო სტანდარტის უზრუნველყოფას, უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდასა და კვლევითი რეპუტაციის ამაღლებას ადგილობრივ და გლობალურ დონეზე.

განხორციელებული აქტივობების შესახებ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსებისა და ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართლის ფაკულტეტზე გამოყოფილია 70 000 ლარი (მუხლი 6.3 და 6.4). თანხა ითვალისწინებს როგორც აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების (60 000 ლარი - მუხლი 6.3), ასევე, ფაკულტეტის ფარგლებში პერსონალის მიერ ინიცირებული კვლევითი პროექტების დაფინანსების ხარჯებს (10 000 ლარი - მუხლი 6.4). ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯებს 3 000 ლარის ოდენობით - მუხლი 5.1 (იხ. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართლის ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტი). აღსანიშნავია, რომ აკადემიურ პერსონალს შესაძლებელია მიმართვის საფუძველზე დაუფინანსდეს კვლევითი პროექტები. დაფინანსების საკითხი რეგულირდება ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედი „კვლევის დაფინანსების წესის“ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ22 ბრძანებით) შესაბამისად. ბიუჯეტით ზემოაღნიშნულ საქმიანობაზე გათვალისწინებული თანხა შესაძლებელია გაიზარდოს უნივერსიტეტის სტრატეგიისა და კვლევითი პრიორიტეტების გათვალისწინებით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის ხელშეწყობისა და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებაში გამოყოფილია სპეციალური საპროფესორო სივრცეები (ქუთაისის უნივერსიტეტის კორპუსი (წერეთლის ქ. №13), მე-5 და მე-6 სართული, ოთახები 502, 503, 601), რომლებიც სრულად არის აღჭურვილი ყველა საჭირო ტექნიკური და მატერიალური უზრუნველყოფით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურები;
- სააუდიტორო საქმიანობის შეფასების ანგარიშები, გაცემული უკუკავშირები და შეფასების

შემაჯამებელი ანგარიშები;

- პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი და რეაგირების ანგარიშები;
- სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტი;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, პუბლიკაციების სია;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის კვლევის დაფინანსების წესი;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ანგარიში განხორციელებული აქტივობების შესახებ;
- სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ანგარიში პერსონალისთვის ჩატარებული ტრენინგების შესახებ;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ანგარიში განხორციელებული აქტივიბების შესახებ;
- ქუთაისის უნივერსიტეტის კორპუსი (ქუთაისი, წერეთლის ქ. №13, ოთახები: 502, 503, 601);
- ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.unik.edu.ge/;
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- საუკეთესო პრაქტიკად მივიჩნიეთ სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის განსაზღვრულია ფულადი ჯილდოები. პერსონალის დაჯილდოვება ქუთაისის უნივერისტეტის მიერ ხორციელდება საჯაროდ, რაც ზრდის პერსონალის მოტივაციას გააუმჯობესონ შეფასების შედეგები.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განსახორციელებლად და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რესურსები, კერძოდ: პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სასწავლო კურსებისთვის (თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის) გამოყოფილია სათანადოდ და თანამედროვე ინფრასტრუქტურით (კომპიუტერი, კონდიციონერი, პროექტორი და დაფა) აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო, საბიბლიოთეკო სივრცე, სტუდენტთა ჯგუფური მუშაობის სივრცე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში მოწყობილია კომპიუტერული საგამოცდო აუდიტორიები და ასევე, კეთილმოწყობილი და სათანადოდ აღჭურვილი სამუშაო სივრცეები პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის. შექმნილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის შესაბამისი ადაპტირებული გარემო, კერძოდ, ფუნქციონირებს ლიფტი, შენობის შესასვლელში

მოწყობილია პანდუსები, ასევე პირველ სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შენობის მიმდებარედ არსებობს ავტოსადგომი, საიდანაც შეუფერხებლად არის შესაძლებელი შენობამდე მისვლა. აუდიტორიები, საგამოცდო ოთახები აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და სასწავლო კურსების განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარით, რაც სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის საშუალებას იძლევა. მოქმედი საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში შეფასების პროცესის მხარდაჭერას. აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე ქმნის უნივერსიტეტში მუშაობისა და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისათვის ხელსაყრელ სამუშაო გარემოს.

საბიბლიოთეკო ფონდი აღჭურვილია, პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო სახელმძღვანელოების ბეჭდური ან/და ელექტრონული ვერსიებით. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ელექტრონული კატალოგი, Openbiblio, რომელიც ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე, https://unik.edu.ge/Library/72. ელექტრონული კატალოგი საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს მოიძიოს დაწესებულების ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი ლიტერატურა, გატანილი და დარჩენილი ეგზემპლარების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, ასევე რა სახით ირიცხება საფონდო ერთეული ბიბლიოთეკაში: ბეჭდური, ელექტრონული თუ ორივე ფორმით. ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული, სამეცნიერო ბაზები: EIFL (ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის) მიერ შემოთავაზებული შემდეგი საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ბაზები:

• Cambridge Core (https://www.cambridge.org/core)

• Elgaronline (https://www.elgaronline.com/) - Edward Elgar Publishing-ის სამეცნიერო ჟურნალები და სახელმძღვანელოები.

• Mathematical Sciences Publishers (https://msp.org/)

• The Royal Society Journals (https://royalsociety.org/journals/)

• SAGE Journals (https://journals.sagepub.com) EIFL-ის აღნიშნული პაკეტის ფარგლებში უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ უფასოდ გამოაქვეყნონ პუბლიკაციები შემდეგ ჟურნალებში:

• De Gruyter-ის ჰიბრიდი და ღია წვდომის ჟურნალები (https://www.degruyter.com/)

• European Respiratory Journal-ის ჰიბრიდი ჟურნალები (https://erj.ersjournals.com/)

• Royal Society Publishing-ის ღია წვდომის ჟურნალები (https://royalsociety.org/journals/#listing)

• SAGE Publications Ltd-ის ღია წვდომის ჟურნალები (https://uk.sagepub.com/en gb/eur/home) 50% ფასდაკლებით გამოაქვეყნონ პუბლიკაციები ღია წვდომის ჟურნალებში, ელექტრონულ რესურსებიდან:

• Brill-ის ჰიბრიდი და ღია წვდომის ჟურნალები (https://brill.com/)

• Cambridge University Press-ის ღია წვდომის ჟურნალები (https://www.cambridge.org/core/)

• Edward Elgar Publishing-ის ჰიბრიდი ჟურნალები (https://www.elgaronline.com/)

• Taylor & Francis-ის ღია წვდომის ჟურნალები (https://taylorandfrancis.com/)

• World Scientific-ის ჰიბრიდი და ღია წვდომის ჟურნალები (https://www.worldscientific.com/) 2019 წლიდან რუსთაველის ფონდის ხელშეწყობით, დაწესებულების პერსონალისა და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი გახდა Elsevier-ის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები:

• ScienceDirect (https://www.sciencedirect.com/) – არის მსოფლიოში ავტორიტეტული სამეცნიერო ელექტრონული ბაზა, რომელიც მოიცავს 2000 დასახელების ჟურნალს, ჯამში ორ მილიონზე მეტი სტატიის სრულ ტექსტს. ScienceDirect ძირითადად ორიენტირებულია

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე, შედარებით მცირე რაოდენებით არის წარმოდგენილი სოციალური და ჰუმანიტარული მიმართულებები. ბიზნესი, ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი, საინჟინრო მეცნიერებები, მექანიკის ინჟინერია, ატომური ინ-ჟინერია, რადიოლოგიური მეცნიერებები, ბიო სამედიცინო ინჟინერია, ჯანდაცვა, ასტრო-ნომია, ასტროფიზიკა, გეოლოგია, მათემატიკა, ფიზიკა, ურბანული დაგეგმარება, ეკონო-მიკა, სოციალური მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები.

• Scopus (http://www.scopus.com) – წარმოადგენს ელ. ბაზას, რომელიც აერთიანებს ბიბ-ლიოგრაფიულ მონაცემებს, აბსტრაქტებსა და ციტირების მაჩვენებლებს 1995 წლიდან დღემდე. ის მოიცავს 5000-ზე მეტი გამომცემლის 21000 დასახელების სამეცნიერო ჟურ-ნალს, ჯამში 50 მილიონზე მეტი ჩანაწერი.

• Funding Institutional (https://www.fundinginstitutional.com) - აერთიანებს მონაცემებს მსოფ-ლიოში არსებული სამეცნიერო გრანტების შესახებ. ის დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს მოიძიოს მის დარგში არსებული პროექტები (დაფინანსების შესაძლებლობები). აღნიშნული ბაზის გამოყენებისთვის აუცილებელია უშუალოდ ბაზაში რეგისტრაცია/ანგა-რიშის შექმნა. მისი გამოყენება შესაძლებელია უნივერსიტეტიდან, ასევე მის მიღმა.

საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ბაზები განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის ნაწილში: https://unik.edu.ge/Library/73 საბიბლიოთეკო რესურსე-ბისა და ელექტრონული, სამეცნიერო ბაზების გამოყენების მეთოდებთან დაკავშირებით სტუდენტებსა და პროგრამების განმახორციელებელ აკადმიურ და მოწვეულ პერსონალს მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია შეხვედრებისა და ელექტრონული ფოსტის საშუა-ლებით. 2022 წელს სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე არსებული პროგრამების წიგნადი ფონდის გამდიდრების და ელექტორონულ ბაზებზე წვდომისათვის გამოყოფილია 20 000 ლარი, მუხლი 10.4 (დეტალებისთვის იხ. ფაკულტე-ტის 2022 წლის ბიუჯეტი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქუთაისის უნივერსიტეტის კორპუსი: აუდიტორიები, კომპიუტერული საგამოცდო აუდიტორიები (ქუთაისის უნივერსიტეტის კორპუსი: ქუთაისი, წერეთლის ქ. №13);
- ქუთაისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკაში არსებული სახელმძღვანელოები (ქუთაისის უნივერსიტეტის კორპუსი: ქუთაისი, წერეთლის ქ. №13);
- სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტი;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: https://unik.edu.ge/Library/72;
- საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ბაზები: https://unik.edu.ge/Library/73;
- ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.unik.edu.ge/;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიუჯეტის შედგენის პროცესი მიმდინარეობს დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტის „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურები“ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2020 წლის 12 ნოემბრის №5 დადგენილებით) შესაბამისად. ბიუჯეტის შედგენის პროცესი დეცენტრალიზებულია, რაც გულისხმობს, რომ ბიუჯეტირების პროცესში დაწესებულების ყველა სტრუქტურულ ერთეულს გააჩნია უფლებამოსილება წინასწარ განსაზღვრული ფინანსური ლიმიტების, მისი უფლებამოსილებისა და ვალდებულებების ფარგლებში, დამოუკიდებლად განსაზღვროს შემდეგი წლის ხარჯების სახეები და მოცულობები, ამდენად, ბიუჯეტის შედგენის პროცესში ჩართულია ფაკულტეტები, დაწესებულებების სტრუქტურით გათვალისწინებული სამსახურები, რაც უზრუნველყოფს ბიუჯეტში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების, ფაკულტეტების და პროგრამების საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებას. პროგრამის ბიუჯეტის შედგენის პროცესში ჩართულია ფაკულტეტის დეკანი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. ბიუჯეტის შედგენისას ხდება პროგრამის საჭიროებების შეფასება, პრიორიტეტული ხარჯების გამოყოფა და გათვალისწინება, ასევე, პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით პროგრამისა და ფაკულტეტის შემოსავლების გათვალისწინება.

2022 წლის ბიუჯეტის შედგენის პროცესი განხორციელდა დაწესებულებაში მოქმედი ზემოაღნიშნული დოკუმენტისა და პროცეურების შესაბამისად. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს პროგრამების განხორციელებისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვან შემდეგ ხარჯებს: აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება (მუხლი 5.1) – 3 000 ლარი; სტუდენტური და აკადემიური პერსონალის აქტივობა (მუხლი 6) – 81 000 ლარი, მათ შორის:

- ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება (მუხლი 6.1) – 4 000 ლარი;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა (მუხლი 6.3) – 10 000 ლარი;
- აფილირებული პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაფინანსება (მუხლი 6.4) – 60 000 ლარი;
- ჟურნალის გამოცემა (მუხლი 6.5) – 2 000 ლარი;
- სასტიპენდიო პროგრამები (მუხლი 6.6) – 2 000 ლარი;
- სტუდენტური კონფერენციები (მუხლი 6.8) - 2 000 ლარი;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადაიარაღება (მუხლი 10.3) – 30 000 ლარი;
- საბიბლიოთეკო ფონდი (წიგნები, ელექტრონული ბაზები) (მუხლი 10.4) – 20 000 ლარი.

ერთიან ბიუჯეტში, ასევე გათვალისწინებულია შემდეგი მნიშვნელოვანი ხარჯები: ინტერნაციონალიზაცია/საერთაშორისო ურთიერთობები (მუხლი 6.2) – 19 800 ლარი; სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები (მუხლი 6.7) – 3 200 ლარი; ელექტრონული სისტემების სრულყოფის ხარჯი (მუხლი 7.4) – 13 231 ლარი. დეტალები 2022 წელს ფაკულტეტის დაგეგმილი ხარჯების შესახებ იხ. თანდართულ

დოკუმენტში, შპს ქუთაისი უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტი. აღნიშნული ხარჯები უზრუნველყოფს პროგრამის მხარდაჭერას და შესაბამისად, პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები განხორციელებადია, რადგან იგი მხარდაჭერილია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მიერ და უზრუნველყოფილია ფა-კულტეტისა და უნივერსიტეტის შემოსავლებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურები; ○ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ერთიანი და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, ხარისხის შიდა შეფასება გულისხმობს „უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით“. აღნიშნულზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, რომლის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა. დაწესებულებაში ხარისხის მართვის, ასევე პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების ძირითადი მომწესრიგებელი დოკუმენტებია:

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“ - აღწერს ისეთ საკითხებს, როგორიცაა, მაგ.: 1) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა (სისტემის ფუნქციონირების პრინციპი (PDCA) და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ყველა სტრუქტურული ერთეული და თანამშრომელი პასუხისმგებლობის ფარგლებში); 2) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიზანი (მიმდინარე პროცესების ეფექტიანობის უზრუნველყოფა; რესურსების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა; მოქმედი რეგულაციების კანონმდებლობასთან და მოქმედ რეგულაციებთან დაწესებულების საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველყოფა) და ამ მექანიზმების გამოყენების სფერო (პროგრამები; პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი; სასწავლო პროცესი; კვლევა; მართვის პროცესები); 3) ხარისხის შიდა და გარე შეფასების სახეები (გარე შეფასება - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ავტორიზაციის, აკრედიტაციის და მონიტორინგის შედეგები; საერთაშორისო ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის შედეგები; ადგილობრივი ან საერთაშორისო მოწვეული ექსპერტების მიერ განხორციელებული შეფასებები; პრაქტიკის ობიექტების, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული ასოციაციების და სხვა გარე შემფასებლების მიერ განხორციელებული შეფასებები; შიდა შეფასება - დადგენილი პროცედურების და მექანიზმების გამოყენების შედეგები); 4) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და ინსტრუმენტები (შეფასების ასპექტები: სწავლა-სწავლება და მომსახურება (შეფასების ასპექტები: საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ხარისხის უზრუნველყოფა, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა); კვლევა (შეფასების ასპექტები: აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები, კვლევის დაფინანსება, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება, პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები, სამაგისტრო ნაშრომის შესრუ-

ლების წესი, სხვ.); მართვის პროცესები (შეფასების ასპექტები: უნივერსიტეტის დებულება და სტრუქტურა). თითოეული კომპონენტისთვის განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტი და შედეგების გამოყენების პროცედურა; 5) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშგება და შედეგების გამოყენება (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული შეფასებების შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება; მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით სტრუქტურული ერთეულების მხრიდან განხორციელებული და დაგეგმილი ნაბიჯები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის რეაგირების ანგარიშის წარდგინა; განხოციელებული შეფასებების, მიღებული შედეგებისა და რეაგირების შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წლიური ანგარიშის წარდგენა და მისი განხილვა ვიცერექტორის და მმართველი საბჭოს მიერ). მითითებული დოკუმენტის დანნართია: „საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური შეფასების ფორმა“, რომელიც ადგენს შეფასების ობიექტს და კომპონენტებს და თითოეულის შეფასებისთვის გამოყენებულ მარეგულირებელ დოკუმენტებს/წესებს და შეფასების ინსტრუმენტებს.

- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები“, რომელშიც განსაზღვრულია: 1) პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების პროცედურები (პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების ეტაპები; პროგრამის შემუშავებაში ჩართული მხარეები და მათი განსაზღვრის მიდგომები; პროგრამის შემუშავების კოორდინატორის ვინაობა, ფუნქციები და პასუხისმგებლობები; პროგრამის შემუშავებისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტები; პროგრამის შემუშავების პროცესის თავისებურებები და ძირითადი ასპექტები, პროგრამის საბოლო განხილვა და დამტკიცება); 2) საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება და ცვლილებების შეტანა (პროგრამის განვითარებაზე პასუხისმგებელი მხარეები; პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საფუძველი; პროგრამის განვითარების პროცესის ეტაპები, ცვლილებების შეტანისა და დამტკიცების წესი), 3) საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. მითითებული დოკუმენტის დანართია: პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების სქემა, პროგრამის და სილაბუსის უნიფიცირებული ფორმები, პროგრამის კურიკულუმის დანართები (პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა; სწავლის შედეგების რუკა; სწავლებისა და სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება; პროგრამის სასწავლო გეგმა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი), საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ციკლის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის ფორმა, რომელშიც აისახება ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და დაწესებულების შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების შესახებ.

ზემოთ მითითებული ხარისხის უზრუნველყფის მექანიზმების გამოყენებას ხელს უწყობს დაწესებულებაში არსებული დოკუმენტები, მათ შორის:

- „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია“ - აღწერს ისეთ საკითხებს როგორიცაა, მაგ.: შეფასების პირდაპირი მეთოდები (შეფასების პროცესი, შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ეტაპები და ფორმები) და შეფასების არაპირდაპირი მეთოდი (შეფასების პროცესი, შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ეტაპები და ფორმები). შეფასების მიზნით გამოიყენება სხვადასხვა მექანიზმები, მათ შორის დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვები და პრო-

გრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევის კონტროლი. მაგისრატურის პროგრამებზე პირდაპირი მეთოდებით სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული შედეგებიდან რეაგირებას ექვემდებარება შემთხვევები, როდესაც „სტუდენტთა 10%-ზე მეტი მუდმივად იღებს უარყოფით შეფასებას (F (ჩაიჭრა) – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები)“. დოკუმენტში არსებული განმარტებით: „სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები ხშირ შემთხვევაში ვერ მიიღწევა, შედეგები შეიძლება ჩაითვალოს ზედმეტად რთულად მისაღწევად და ამდენად საჭიროებს კვლევას.“ რეაგირების საჭიროება დგება იმ შემთხვევაში, თუ 03 წლის მონაცემების ყოველსემესტრულად გამოიკვეთება, რომ 3 წლიან დინამიკაში ერთსა და იმავე სასწავლო კურსში ყოველწლიურად ფიქსირდება ზემოაღნიშნული საყურადღებო შედეგი. ასევე, „რეაგირება შესაძლებელია საჭიროდ ჩაითვალოს სხვა შემთხვევაშიც, შეფასების პროცესში ჩართული მხარეების არგუმენტირებული გადაწყვეტილების საფუძველზე“. რეაგირება გულისხმობს ორ ეტაპს: მიზეზების კვლევა და იდენტიფიცირებული პრობლემების გადასაჭრელად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა (მაგ., პროგრამის და/ან სასწავლო კომპონენტში გარკვეული ცვლილებების განხორციელება). ზემოთ მითითებული დოკუმენტის თანახმად, პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგის შეფასების პროცესში მოწმდება ყველა სავალდებულო კომპონენტი, რომელიც ამ კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევაში მონაწილეობს და შედეგის შეფასების მიზნით მითითებულია პროგრამის დანართში #4 „სწავლის შედეგების შეფასება“. შეფასების პროცესში მონაწილეობს კომპონენტზე დარეგისტრირებული რამდენიმე შემთხვევით შერჩეული სტუდენტი. იმისათვის, რომ შედეგები იყოს ლოგიკური კონკრეტულ სასწავლო კომპონენტზე ფასდება შემთხვევითი შერჩევის წესით შერჩეული 10-ზე მეტი სტუდენტის ნაშრომი.

- „კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო“ - განსაზღვრავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა, მაგ.: სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვების მიმართულებები, პასუხისმგებლობები, კვლევების ტიპები, ადმინისტრირება, პროცედურები და პროცესი, შედეგების ანალიზი და ანგარიშგება, შედეგების გავრცელება, ინტერგაცია და სხვ.). მითითებული დოკუმენტის დანართებია სხვადასხვა გამოკოკითხვების/კვლევების ფორმები/კითხვარები (სულ - 22) და გამოკითხვის შედეგებზე რეაგირებების ანალიზის ფორმა (მიეთითება: გამოკითხვის ტიპი, გამოკითხვის ჩატარების თარიღი, გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეები, რომელზეც განხორციელდა რეაგირება); რეაგირებების მიზნით განხორციელებული აქტივობები; განხორციელებულ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული; გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეები, რომელზე რეაგირებაც არ ჩაითვალა მიზანშეწონილად; მიზეზი, რის გამოც რეაგირება არ ჩაითვალა მიზანშეწონილად; პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული; გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეები, რომელზეც დაგეგმილია რეაგირებები მომავალში; რეაგირების მიზნით დაგეგმილი აქტივობები; რეაგირების მიზნით დაგეგმილი აქტივობების განხორციელების ვადა; დაგეგმილი აქტივობის შესრულების თაობაზე უკუკავშირი; დაგეგმილი აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/ სტრუქტურული ერთეული).
- „აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“ - განსაზღვრავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა, მაგ.: შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები, შეფასების შედეგებზე რეაგირება და სხვ. მითითებული დოკუმენტის დანართებია ანგარიშების და შეფასების ფორმები (სულ - 9), მათ შორის: კადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიში, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური ანგარიში; აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება

დეკანის მიერ; აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ; აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება საგამოცდო ცენტრის მიერ, აკადემიური და მოწვეული პერსონალის და სასწავლო კურსის შეფასება სტუდენტის მიერ, მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური შეფასების სქემა და აკადემიური პერსონალის სემესტრული და წლიური შეფასების სქემა.

დაწესებულებაში ხარისხის მართვის სისტემის ნაწილია წლიური ანგარიშგება - აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში ასეთი დოკუმენტია პროგრამის ხელმძღვანელის მიერ „საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური შეფასება. საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი“, რომელშიც ასახულია: ზოგადი ინფორმაცია პროგრამის, პროგრამის განხორციელების პროგრამის სტრუქტურის და რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ. დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობები; პროგრამის მატერიალური რესურსის (პროგრამის ინფრასტრუქტურის, საბიბლიოთეკო ფონდის) გაუმჯობესება; პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობები; პროგრამის გარე შეფასების შედეგები და ამ შეფასების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხებბი, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები და სხვ.

დაწესებულების წარმომადგენლებთან (თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოიკვეთა დაწესებულებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სისტემატურად გამოყენების ფაქტი, რაც ასევე დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით. ინტერვიუში მონაწილე პირებმა ისაუბრეს პროგრამის მოდიფიცირების პროცესზე, იდენტიფიცირებულ საჭიროებებზე და პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებზე - პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის მოდიფიცირების პროცესში განხორციელდა ანალოგიური პროგრამების შესწავლა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით და პროგრამის გარე შეფასებება დამოუკიდებელი დარგის სპეციალისტების მიერ, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა დაადასტურეს, რომ მათი რეკომენდაციები იყო გათვალისწინებული პროგრამის მოდიფიცირების პროცესში, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ყველა მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა პროგრამის გუნდის მიერ, რის საფუძველზე დაიგეგმა და განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. სამუშაო ჯგუფის წევრებმა, პროგრამის ხელმძღვანელნა და განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ სისტემატური კომუნიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სამუშაოს შესრულებისას მიიღეს სათანადო ინფორმაცია, კონსულტირება და მხარდაჭერა. ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის საძლიერების მიზნით იგეგმება ახალი მექანიზმის ამოქმედება - ხარისხის უზრუნველყოფის სამსაურში შეიქმნება სტუდენტთა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ჩაერთვება სამსახურის საქმიანობაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განმარტებით, სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზნით უკვე გამოცხადებულია შესარჩევი კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია დაწესებულების ყველა დაინტერესებულ სტუდენტს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- დაწესებულებაში არსებულ ხარისხის მართვის/უზრუნველყოფის სისტემას აქვს რელე-

ვანტური და საკმარისი თეორიული საფუძვლები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება და იძლევა გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, მათი დახვეწისა და გუმჯობესების შესაძლებლობას (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით);

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად არის ჩართული როგორც შეფასების, ისე პერსონალის ინფორმირების, კონსულტირებისა და მხარდაჭერის პროცესში: პროგრამაში ჩართული პერსონალი ფლობს ინფორმაციას დაწესებულებაში მოქმედი წესების, შეფასების მიდგომებისა და მექანიზმების შესახებ, თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, იღებს სათანადო ინფორმაციას, კონსულტაციებსა და მხარდაჭერას, მათ შორის პროფესიული განვითარების მიმართულებით. არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების მზაობა, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმინობაში სტუდენტთა სამუშაო ჯგუფის ჩართულობის გზით. (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით და ინტერვიუს შედეგებით).
- ხარისხის უზრუნველყოფა თანამშრომლობითი, კომპლექსური და გამჭვირვალე პროცესია. მკაფიოდ არის განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და პასუხისმგებლობები, გამოიყენება პროცესების რეგლამენტირებაზე და მტკიცებულებებზე დამყარებული მიდგომები, წინასწარ განსაზღვრული მეთოდები და მექანიზმები, პროცესების სქემები, უნიფიცირებული ფორმები და სხვ. შეფასების პროცესში მიღებული შედეგები ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის და გამოიყენება პროგრამის განვითარებისათვის. პროგრამის მოდიფიცირების პროცესში შესწავლილ იქნა პროგრამის განხორციელებისთვის სხვადასხვა მნიშვნელოვამი ასპექტი, ჩატარდა უცხოეთის უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან დადარება, შრომის ბაზრის, დაინტერესებული მხარეები მოსაზრებების შესწავლა, ჩატარდა პროგრამის შიდა და გარე შეფასება. ყოველივე აღნიშნული უზრუნველყოფს დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის მართვის სისტემის მდგრადობას. (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით და ინტერვიუს შედეგებით).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“ (დამტკიცებული რექტორის ბრძანებით №ძ 36, 24.03.2021; ცვლილებები: ბრძანება № ძ 128, 25.06.2021);
- „საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური შეფასების ფორმა“;
- „შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები“ (დამტკიცებული რექტორის ბრძანებით №ძ 14, 17.09.2020; ცვლილებები: ბრძანებები №ძ 38, 29.09.2020, №ძ 99, 14, 17.11.2020, №ძ 13, 27.011.2021, №ძ 38, 24.03.2021, №ძ 78, 17.03.2021, №ძ 169, 29.10.2021, №ძ 25, 04.02.2021);
- საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები (პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა; სწავლის შედეგების რუკა; სწავლებისა და სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება; პროგრამის სასწავლო გეგმა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი); პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- „შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ კნაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო“ (დამტკიცებული რექტორის ბრძანებით №ძ 20, 17.09.2020; ცვლილებები: ბრძანებები №ძ 65, 16.10.2020, №ძ 108, 07.12.2020, №ძ 37, 24.03.2021, №ძ 77, 17.05.2021, №ძ 177, 25.06.2021) და მისი დანართები (კითხვარი, სულ: 22; „გამოკითხვის შედეგებზე რეაგირებების ანალიზის ფორმა“);
- „შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“ (დამტკიცებული რექტორის ბრძანებით №ძ 51, 07.10.2020; ცვლილებები: ბრძანებები №ძ 98,

17.11.2020, №ძ 44, 25.03.2021, №ძ 80, 17.05.2021, №ძ 113, 07.06.2021, №ძ 31, 09.02.2022) და მისი დანართები (ანგარიშების და დასკვნების ფორმები, სულ: 9);

- „შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული რექტორის ბრძანებით №ძ 15, 17.09.2020; ცვლილებები: ბრძანებები №ძ 100, 17.09.2020, №ძ 43, 24.03.2021, №ძ 144, 30.07.2021, №ძ 41, 14.04.2022);
- „საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური შეფასება. საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი“;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვლევა: შედეგები, შედეგების ანალიზი, რეაგირების ანგარიშები (ტრეინინგ-ცენტრი, ფაკულტეტი) – სასწავლო პროცესით კმაყოფილება, 2020-2021 (I, II);
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვლევა: შედეგები, შედეგების ანალიზი, რეაგირების ანგარიშები (ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ბიბლიოთეკა, ლოგისტიკის სამსახური, მარკეტინგის სამსახური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური) – ზოგადი კმაყოფილება, 2020-2021;
- სტუდენტების კმაყოფილების კვლევა - შედეგები, შედეგების ანალიზი, რეაგირების ანგარიშები (ბიბლიოთეკა, ფაკულტეტი, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური) – სასწავლო პროცესით კმაყოფილება, 2020-2021 (I, II);
- სტუდენტების კმაყოფილების კვლევა - შედეგები, შედეგების ანალიზი, რეაგირების ანგარიშები (ლოგისტიკის სამსახური, საგამოცდო ცენტრი) – სასწავლო პროცესით კმაყოფილება, 2020-2021;
- პერსონალის შეფასება სტუდენების მიერ, 2020-2021 (I, II);
- პროგრამის პერსონალის (ლექტორების) შეფასება - ადმინისტრაციის მიერ შეფასება (დეკანის მიერ შეფასება, 2020-2021 (I, II); სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, 2020-2021 (I, II)); პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შეფასება, 2020-2021 (I, II); საგამოცდო ცენტრის მიერ შეფასება, 2020-2021 (I, II));
- პერსონალის ანგარიშები და შეფასებები (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა; პროფესიული განვითარება), 2020-2021;
- პერსონალის შეფასების დაჯამებული შედეგები (აკადემიური პერსონალი; მოწვეული პერსონალი), 2020-2021;
- ფაკულტეტის დეკანის შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიში, 2020-2021;
- ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება (შეფასების შედეგები, შედეგების ანალიზი, რეაგირების ანგარიში), 2020-2021 (I, II);
- საგამოცდო პროცესის შეფასება (შუალედური და დასკვნითი გამოცდები - გამოკითხვების შედეგები, შედეგების ანალიზი, შედეგებზე რეაგირება), 2020-2021 (I, II);
- სააუდიტორიო მუშაობის შეფასება (რეაგირების ანგარიში, უკუკავშირი, შეფასების შემაჯამებელი ანგარიში), 2020-2021;
- პროგრამის წლიური შეფასების ანგარიში, 2020-2021;
- პროგრამის პირდაპირი შეფასება კურსდამთავრებულთა (2019-2020) მიერ (გამოკითხვების შედეგები, შედეგების ანალიზი და გამოყენება);
- პროგრამის პრდაპირი შეფასება - აკადემიური მოსწრების ანალიზი, 2020-2021 (I, II);
- პროგრამის შეფასება დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პერსონალი, სტუდენტები) მიერ (გამოკითხვების შედეგები, შედეგების ანალიზი და გამოყენების ანგარიში);
- „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი“;
- გარე შემფასებლების დასკვნები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციების თანახმად, გარე შეფასებს მიეკუთვნება:

1) <u>აკრედიტაციის და მონიტორინგის პროცესში მიღებული შეფასებები:</u>

- აკრედიტაცია - პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2020 წელს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 4 20 0000679096, 22/11/2020 2020). პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია და განესაზღვრა რეკომენდაციები, მათი შესრულება განხორციელდა შემდეგნაირად:

საბჭოს რეკომენდაცია	შესრულების აღწერა	მტკიცებულება
პროგრამის მიზნის დეკლარირების კონტექსტი უფრო შეესაბამება შედეგს ვიდრე მიზანს, ამიტომ უნდა მოხდეს აღნიშნული მიზნების დეკლარირების კონტექსტის დაზუსტება	გადაიხედა და დაკორექტირდა პროგრამის მიზნების ფორმულირება.	პროგრამის კურიკულუმი
რეკომენდირებულია თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები - „სასწავლო პრაქტიკა“ და „სამაგისტრო ნაშრომი“ გადატანილი იქნას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში და განისაზღვროს კურსებზე დაშვების წინაპირობები	კომპონენტებში „პროფესიული პრაქტიკა“ და „სამაგისტრო ნაშრომი“ დაკორექტირდა დაშვების და განესაზღვრა ლოგიკური წინაპირობები: 1-3 სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსები.	პროგრამის სასწავლო გეგმა; პროგრამის კომპონენტების სილაბუსები.
მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი საგნების ინტეგრაცია და გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე დაემატოს სასწავლო კურსები, რომელთა სწავლება აუცილებელია პროგრამის მიზნების მისაღწევად	განხორციელდა გარკვეული სასწავლო კურსების ინტეგრაცია, ასევე რამდენიმე სასწავლო კურსის დამატება. კერძოდ, გაერთიანდა „ფინანსური მენეჯმენტი 1“ და „ფინანსური მენეჯმენტი 2“ და ჩამოყალიბდა ერთ სასწავლო კურსად; პროგრამას დაემატა სასწავლო კურსები „მენეჯერული ეკონომიკა“, „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ (პერსონალის მართვის თემატიკის სწვლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციის საპასუხოდ); სასწავლო კურსის „ფინანსური კონტროლი და აუდიტი“ საფუძველზე ჩამოყალიბდა 2 სასწავლო კურსი: „პრაქტიკული აუდიტი“ და „საჯარო სექტორის აუდიტი“.	
გადაიხედოს და განახლდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა, რათა ისინი დაფუძნებული იყოს სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და შეესაბამებოდეს კურსის	გადაიხედა და განახლდა პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა.	სილაბუსები

მიზანსა და სწავლების საფეხურს;			
დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად ფორმულირება	გადაიხედა და განახლდა პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში მითითებული სწავლა-სწავლების მეთოდები. (შენიშვნა: დღეისათვის ეს რეკომენდაცია არ არის აქტუალური მითითებულ ბრძანებაში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე).	სილაბუსები
მოხდეს „სასწავლო პრაქტიკის“ გაძლიერება და შესაბამისად მისთვის განსაზღვრული კრედიტების გაზრდა. გაიზარდოს პრაქტიკის ხანგრძლივობა, სილაბუსში მიეთითოს საკონტაქტო საათების რაოდენობა.	გაიზარდა პროფესიული პრაქტიკის კრედიტების მოცულობა (5 კრედიტიდან 8 კრედიტამდე), ასევე, გაიზარდა სტუდენტების მიერ პრაქტიკის ობიექტზე გასატარებელი საათების მოცულობა, რამაც გააძლიერა აღნიშნული კომპონენტი და კომპონენტით დადგენილი სწვლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა	პროგრამის სასწავლო გეგმა, სილაბუსი
უნდა მოხდეს, სასწავლო კურსების „ფინანსური აღრიცხვა“, “ბუღალტრული ანგარიშგება“ და „მმართველობითი აღრიცხვა გადაწვეტილებების მისაღებად“ მეტი პრაქტიკული კომპონენტებით დატვირთვა და სწავლების პროცესში რომელიმე ბუღალტრული პროგრამის ჩართვა	განხორციელდა სასწავლო კურსების „ფინანსური აღრიცხვა“, „მმართველობითი აღრიცხვა გადაწყვეტილებების მისაღებად“ და “ბუღალტრული ანგარიშგება და ანალიზი“ მეტი პრაქტიკული კომპონენტებით დატვირთვა. სასწავლო კურსების „ფინანსური აღრიცხვა“ და “ბუღალტრული ანგარიშგება და ანალიზი“ სილაბუშებში გამოიკვეთა ბუღალტრული პროგრამის გამოყენების საკითხი.	სილაბუსები
სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტებსა და შეფასების კრიტერიუმებში უნდა გაიზარდოს დამოუკიდებელი კვლევის, ანალიტიკური ნაწილისა და კვლევის მიგნებების წილი.	გადაიხედა და დაკორექტირდა ნაშრომის კომპონენტები და შეფასების კრიტერიუმები. შეფასების კრიტერიუმებში ნათლად გაიწერა და გამოჩნდა ანალიტიკური ნაწილისა და კვლევის მიგნებების შეფასების საკითხი. აღნიშნული საკითხები გათვალისწინებულია „შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი“ (რუბრიკები: სამაგისტრო ნაშრომის შეფასება; დაცვის კომისიის მიერ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები; დანართი 1. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის დასკვნა; დანართი 2. სამაგისტრო ნაშრომის/ პროექტის რეცენზენტის დასკვნა).	სილაბუსი; „შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი“
დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებსა და გამოყენებულ ლიტერატურას.			
რეკომენდებულია წინასწარ გამოაქვეყნოს არა სამაგისტრო ნაშრომის კონკრეტული თემები (სათაურები), არამედ მათი ზოგადი კვლევითი მიმართულება რის შემდეგაც ხელმძღვანელთან კონსულტაციის პროცესში მაგისტრანტი დააკონკრეტებს თემის სათაურს. ასევე, იზრუნონ ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესებაზე.	განახლდა და დეტალურად გაიწერა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი, მათ შორის ნაშრომის შესრულების წესი, ნაშრომის სტრუქტურა და ა.შ. ამავდროულად მოხდა სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევასთან დაკავშირებული რეკომენდაციის გათვალისწინება. ინტერვიუს დროს პერსონალმა და მაგისტრანტებმა დაადასტურეს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა დააკორექტირონ ნაშრომის სათაური. ასევე, აღინიშნა, რომ მაგისტრანტებს აქვთ შესაძლებლობა თავად წარადგინონ მათთვის საინტერესო კვლევის თემა და შესაბამისი პროცედურის გავლის შემდგომ იმიშაონ ამ თემაზე .	„შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი“. დამტკიცებულია რექორის №ძ24 (17.09.2020) ბრძანებით; ცვლილებები: რექტორის ბრძანებები №ძ35 (28.09.2020), №ძ56 (09.10.2020), №ძ 27 (04.02.2022); ინტერვიუს შედეგები

სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტმა სტუდენტებისათვის უნდა გაწეროს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გაცილებით დეტალური ინსტრუქცია, ვიდრე ეს დღევანდელი წესითაა მოცემული (სასურველია შემდეგნაირად დაკონკრეტდეს ნაშრომის შესავლის სტრუქტურა: თემის აქტუალურობა, კვლევის მიზნები, ამოცანი, საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა (დაშვება) და ა.შ).	აღნიშნული საკითხები გათვალისწინებულია „შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი“ (რუბრიკები: სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის გაფორმების წესი, სამაგისტრო ნაშრომის შეფასება; დაცვის კომისიის მიერ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები; დანართი 1. სამაგისტრო ნაშრომის/ პროექტის ხელმძღვანელის დასკვნა; დანართი 2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის რეცენზენტის დასკვნა).	„შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი“. დამტკიცებულია რექორის №ძ24 (17.09.2020) ბრძანებით; ცვლილებები: რექტორის ბრძანებები №ძ35 (28.09.2020), №ძ56 (09.10.2020), №ძ 27 (04.02.2022).	
გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის „საერთაშორისო ბიზნესის“ სახელწოდება, მიზანი, შინაარსი, გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა და კრედიტების რაოდენობა. სილაბუსით გათვალისწინებული შესასწავლი თემებიდან გამომდინარე ეს არის არა „საერთაშორისო ბიზნესის“, არამედ „ბიზნეს სამართლის“ კურსი და კარგი იქნება, თუ სწორედ „ბიზნეს სამართლის სახელწოდებით“ მოხდება აღნიშნული კურსის შეთავაზება.	შინაარსიდან გამომდინარე დაზუსტდა სასწავლო კურსის „საერთაშორისო ბიზნესი“ სახელწოდება, სასწავლო კურსის ახალი სახელწოდებაა „ბიზნესის სამართლებრივი გარემო“. გადაიხედა სასწვლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, თემატიკა, კრედიტების მოცულობა და გამოყენებული ლიტერატურა.	სილაბუსი	
„სამეცნიერო კვლევის სტრუქტურა, მეთოდებისა და ეთიკის“ სასწავლო კურსში სტუდენტთა დამოუკიდებელ კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთდეს და ფინალური თეორიული გამოცდის ნაცვლად უმჯობესია სტუდენტების მხრიდან კვლევითი ნაშრომის მომზადება, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისთვის შესაძლებელია კვლავ შუალედური გამოცდისა და ქვიზების გამოყენება.	სასწავლო კურსში „ბიზნესის კვლევის მეთოდები“ აქცენტი გაკეთდა სტუდენტების დამოუკიდებელი კვლევის უნარების გამომუშავებისა და შეფასების საკითხებზე, დასკვნითი გამოცდის ფარგლებში თეორიული გამოცდის ნაცვლად განისაზღვრა კვლევითი პროექტის მომზადება და პრეზენტაცია.	სილაბუსი	

- მონიტორინგი - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილებით (ბრძანება MES 8 21 0000588388, 17/06/2021) განხორციელდა პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგი, რომლის შედეგად: 1) პროგრამის პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მესამე და მეხუთე სტანდარტი არ შეფასებულა; 2) დაწესებულებას განესახღვრა ერთი რეკომენდაცია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES0210000889999, 10/09/2021), რომლის შესრულება განხორციელდა შემდეგნაირად:

საბჭოს რეკომენდაცია	შესრულების აღწერა	მტკიცებულება

რეკომენდებულია დაწესებულებამ გააძლიეროს პროგრამის ფარგლებში ტექნოლოგიური პროგრამების გამოყენება, მაგალითად: ,,FMG soft", ,,SAP Business One“, ,,ERP”, Oris Manager, Oris Accounting და ა.შ.“	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით ნაწილს დაემატა სასწავლო კურსი „ფინანსური აღრიცხვის ელექტრონული პროგრამები“, რომლიც ფარგლებში სტუდენტებს ექნებათ ელექტრონული პროგრამის საშუალებით ფინანსური და მენეჯერული აღრიცხვის წარმოების შესაძლებლობა, ასევე როგორც ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგების მომზადების შესაძლებლობა როგორც წლიურად, ასევე კვარტალურად და/ან მათთვის საჭირო სხვა პერიოდულობით. ასევე, სასწავლო კურსები „ფინანსური აღრიცხვა“ და „ბუღალტრული ანგარიშგება და ანალიზი“ ითვალისწინებენ ფინანსური აღრიცხვის ელექტრონული პროგრამის გამოყენებას პრაქტიკულ მეცადინეობებზე კონკრეტული დავალებების შესასრულებლად.	პროგრამის კურიკულუმი; შესაბამისი სილაბუსები

2) <u>პროგრამის გარე შეფასება დარგის სპეციალისტების მიერ</u> - გარე შეფასების მიზნით პროგრამა გადაეცა 02 დამოუკიდებელ (დაწესებულებასთან არააფილირებულ) დარგის სპეციალისტს - საქართველოს უსდ-ს აკადემიურ პერსონალს. მათ მიერ პროგრამა დადებითად არის შეფასებული (გარე შემფასებლის პოზიცია დასტურდება ოფიციალური წერილით). პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, გაცემული რეკომენდაციები იყო შესწავლილი და გაზიარებული პროგრამის გუნდის მიერ.

ასევე, ინტერვიუს დროს პროგრამა დადებითად შეაფასეს სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და პოტენციურმა დამსაქმებლებმა (დარგობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა), რომლებმაც აღნიშნეს, რომ პროგრამის მოდიფიცირების პროცესში განხორციელდა მათი რეკომენდაციების (ძირითადად ეხებოდა პრაქტიკული უნარების გაძლიერებას) და პროგრამისთვის მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინება, რაც წარმოადგენს მათ მიერ პროგრამის დადებითად შეფასების საფუძველს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“;
- „საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური შეფასება“;
- პროგრამის კურიკულუმი, სასწავლო გეგმა, პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- გარე შემფასებლების დასკვნები (გამოხმაურებები);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს უსდ-ს, ისე უცხოეთის უსდ-ს წარმომადგენლ(ებ)ის მიერ, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე ტენდენციების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამებს მონიტორინგის და შეფასების პროცესის ძირითადი მომწესრიგებელი დოკუმენტებია: „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“ და „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები“. გარდა მითითებულისა, ასევე, გამოიყენება: „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია“; „კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო“ (ერთვის ამ მიზნით შემუშავებული 22 ფორმა და გამოკითხვის შედეგებზე რეაგირებების ანალიზის ფორმა), „აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“ (ერთვის ამ მიზნით შემუშავებული 9 ფორმა).

შეფასების პროცესში გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, მაგალითად: აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სასწავლო პროცესის და საგამოცდო პერიოდის, სასწავლო კურსების და სხვა შეფასებები. ასევე, გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიური შეფასება, დაკვირვებას და შეფასებას ექვემდებარება სტუდენტთა აკადემიური მოსწრება. განხორციელებული შეფასების შედეგები ექვემდებარება შესწავლას და ანალიზს, რის საფუძველზე შემუშავდება გასაუმჯობესებელ გარემოებებზე რეაგირების მექანიზმები და რეკომენდაციები. შეფასების შედეგები აისახება ანგარიშებში, რომლებიც გადაეცემა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშებს განიხილავს ვიცე-რექტორი და მმართველი საბჭო.

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის და პროგრამის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენება დაინტერესებულ მხარეთა (პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები) მოსაზრებების შესწავლა (დამოკიდებულებების კვლევა). 2020-2021 პერიოდში დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების შესწავლის მიზნით ჩატარებული გამოკითხვების რესპოდენტები იყვნენ: დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები გაანალიზებული და შეჯამებულია ანგარიშის სახით („დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი და პროგრამის განვითარების პროცესში მათი გათვალისწინება - გამოყენების ანგარიში“). დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, გაიგზავნა რესპოდენტებს წინასწარ გაეგზავნათ კითხვარები და დამატებითი ინფორმაცია (პროგრამის აღწერილობა, სასწავლო გეგმა), რაც დადასტურდა ინტერვიუს დროს. ასევე, 2020-2021 პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა კვლევები და შეფასებები, მათ შორის:

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სასწავლო პროცესით კმაყოფილების კვლევა, 2020-2021 (I, II). (იხ. კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი, რეაგირების ანგარიშები (ტრეინინგ-ცენტრი, ფაკულტეტი);
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა, 2020-2021 (იხ. კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი, რეაგირების ანგარიშები (ადამიანური

რესურსების მართვის სამსახური, ბიბლიოთეკა, ლოგისტიკის სამსახური, მარკეტინგის სამსახური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური);

- სტუდენტების სასწავლო პროცესით კმაყოფილების კვლევა, 2020-2021 (I, II). (იხ. კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი, რეაგირების ანგარიშები (ბიბლიოთეკა, ფაკულტეტი, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური);
- სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა, 2020-2021. (იხ. კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი, რეაგირების ანგარიშები (ლოგისტიკის სამსახური, საგამოცდო ცენტრი);
- პერსონალის შეფასება სტუდენების მიერ, 2020-2021 (I, II);
- საგამოცდო პროცესის (შუალედური და დასკვნითი გამოცდები) შეფასება, 2020-2021 (I, II). (იხ. გამოკითხვების შედეგები, შედეგების ანალიზი, შედეგებზე რეაგირება);
- სააუდიტორიო მუშაობის შეფასება, 2020-2021 (იხ. რეაგირების ანგარიში, უკუკავშირი, შეფასების შემაჯამებელი ანგარიში);
- პროგრამის პერსონალის (ლექტორების) შეფასება - ადმინისტრაციის მიერ შეფასება (დეკანის მიერ შეფასება, 2020-2021 (I, II); სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, 2020-2021 (I, II));
- პროგრამის პირდაპირი შეფასება კურსდამთავრებულთა (2019-2020) მიერ (იხ. გამოკითხვების შედეგები, შედეგების ანალიზი და გამოყენება) და პროგრამის პირდაპირი შეფასება - აკადემიური მოსწრების ანალიზი, 2020-2021 (I, II);
- პროგრამის შეფასება დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პერსონალი, სტუდენტები) მიერ (გამოკითხვების შედეგები, შედეგების ანალიზი და გამოყენების ანგარიში);
- ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება (შეფასების შედეგები, შედეგების ანალიზი, რეაგირების ანგარიში), 2020-2021 (I, II);
- პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შეფასება, 2020-2021 (I, II); საგამოცდო ცენტრის მიერ შეფასება, 2020-2021 (I, II));
- პერსონალის ანგარიშები და შეფასებები (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა; პროფესიული განვითარება), 2020-2021;
- პერსონალის შეფასების დაჯამებული შედეგები (აკადემიური პერსონალი; მოწვეული პერსონალი), 2020-2021;
- ფაკულტეტის დეკანის შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიში, 2020-2021;
- პროგრამის წლიური შეფასების ანგარიში, 2020-2021.

აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნებისთვის განხორციელდა როგორც პროგრამის გარე შეფასება დარგის ორი სპეციალისტის (საქართველოს უსდ-ების აკადემიური პერსონალის) მიერ, ისე საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების ანალოგიური პროგრამების შესწავლა (საქართველოს 2 უსდ, უცხოეთის 2 უსდ). ასევე, გაანალიზებული იქნა ევროკავშირისა და მსოფლიო ბაკის ფინანსური ჩართულობის და ანგარიშვალდებულების ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში მომზადებული ანგარიში „ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში განათლების შედარებითი ანალიზი და შეფასება საქართველოში“ (გამოქვეყნდა 2020 წლის ოქტომბერში). პროგრამის გუნდის მიერ განხორციელებული შესწავლის შედეგები აღწერილი და გაანალიზებულია დოკუმენტში „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი“.

ზემოთ მითითებული მექანიზმების გამოყენება დასტურდება როგორც პროგრამის თვით-შეფასების ანგარიშის თანდართული, მათ შორის 2020-2021 განხორციელებული აქტივობების ამსახველი, დოკუმენტებით (ჩატარებული შეფასებები, გამოკითხვები, ანგარიშები, პროგრამის შიდა შეფასება; პროგრამის გარე შეფასების წერილები, ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზის დოკუმენტი, სხვ.), ისე ინტერვიუს შედეგებით - დაწესებულების რექტორმა, ფაკულტეტის დეკანმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და პერსონალმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს როგორც დაწესებულებაში მოქმედ მიდგომებზე, ისე პროგრამის მხარდაჭერისა და განვითარების შესაძლებლობებზე. პროგრამის ხელმძღვანელმა, განმახორციელებლებმა და სტუდენტებმა აღნიშნეს შეფასების სისტემატურობა და კომპლექსურობა. სტუდენტემბა, კურსდამთავრებულებმა და პოტენციურმა დამსაქმებლებმა დაადასტურეს შეფასებებში (გამოკითხვებში) და პროგრამის მოდიფიცირების პროცესში მათი მოსაზრებების შესწავლის და გათვალისწინების ფაქტი. ასევე, პოტენციურმა დამსაქმებლებმა აღნიშნეს პროგრამის აქტუალობა და დაადასტურეს მათ მიერ პროგრამის დადებითი შეფასება და დაწესებულებასთან შემდგომი თანამშრომლობის მზაობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“ (დამტკიცებული რექტორის ბრძანებით №ძ 36, 24.03.2021; ცვლილებები: ბრძანება № ძ 128, 25.06.2021);
- „შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები“ (დამტკიცებული რექტორის ბრძანებით №ძ 14, 17.09.2020; ცვლილებები: ბრძანებები №ძ 38, 29.09.2020, №ძ 99, 14, 17.11.2020, №ძ 13, 27.011.2021, №ძ 38, 24.03.2021, №ძ 78, 17.03.2021, №ძ 169, 29.10.2021, №ძ 25, 04.02.2021);
- „შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ კნაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძრვანელო“ (დამტკიცებული რექტორის ბრძანებით №ძ 20, 17.09.2020; ცვლილებები: ბრძანებები №ძ 65, 16.10.2020, №ძ 108, 07.12.2020, №ძ 37, 24.03.2021, №ძ 77, 17.05.2021, №ძ 177, 25.06.2021) და მისი დანართები (კითხვარი, სულ: 22; „გამოკითხვის შედეგებზე რეაგირებების ანალიზის ფორმა“);
- „შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“ (დამტკიცებული რექტორის ბრძანებით №ძ 51, 07.10.2020; ცვლილებები: ბრძანებები №ძ 98, 17.11.2020, №ძ 44, 25.03.2021, №ძ 80, 17.05.2021, №ძ 113, 07.06.2021, №ძ 31, 09.02.2022) და მისი დანართები (ანგარიშების და დასკვნების ფორმები, სულ: 9);
- „შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული რექტორის ბრძანებით №ძ 15, 17.09.2020; ცვლილებები: ბრძანებები №ძ 100, 17.09.2020, №ძ 43, 24.03.2021, №ძ 144, 30.07.2021, №ძ 41, 14.04.2022);
- „საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური შეფასების ფორმა“;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვლევა: შედეგები, შედეგების ანალიზი, რეაგირების ანგარიშები (ტრეინინგ-ცენტრი, ფაკულტეტი) – სასწავლო პროცესით კმაყოფილება, 2020-2021 (I, II);
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვლევა: შედეგები, შედეგების ანალიზი, რეაგირების ანგარიშები (ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ბიბლიოთეკა, ლოგისტიკის სამსახური, მარკეტინგის სამსახური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური) – ზოგადი კმაყოფილება, 2020-2021;
- სტუდენტების კმაყოფილების კვლევა - შედეგები, შედეგების ანალიზი, რეაგირების ანგარიშები (ბიბლიოთეკა, ფაკულტეტი, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური) – სასწავლო პროცესით კმაყოფილება, 2020-2021 (I, II);
- სტუდენტების კმაყოფილების კვლევა - შედეგები, შედეგების ანალიზი, რეაგირების ანგარიშები (ლოგისტიკის სამსახური, საგამოცდო ცენტრი) – ზოგადი კმაყოფილება, 2020-2021;
- პერსონალის შეფასება სტუდენების მიერ, 2020-2021 (I, II);
- პროგრამის პერსონალის (ლექტორების) შეფასება - ადმინისტრაციის მიერ შეფასება (დეკანის მი-

ერ შეფასება, 2020-2021 (I, II); სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, 2020-2021 (I, II)); პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შეფასება, 2020-2021 (I, II); საგამოცდო ცენტრის მიერ შეფასება, 2020-2021 (I, II));

- პერსონალის ანგარიშები და შეფასებები (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა; პროფესიული განვითარება), 2020-2021;
- პერსონალის შეფასების დაჯამებული შედეგები (აკადემიური პერსონალი; მოწვეული პერსონალი), 2020-2021;
- ფაკულტეტის დეკანის შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიში, 2020-2021;
- ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება (შეფასების შედეგები, შედეგების ანალიზი, რეაგირების ანგარიში), 2020-2021 (I, II);
- საგამოცდო პროცესის შეფასება (შუალედური და დასკვნითი გამოცდები - გამოკითხვების შედეგები, შედეგების ანალიზი, შედეგებზე რეაგირება), 2020-2021 (I, II);
- სააუდიტორიო მუშაობის შეფასება (რეაგირების ანგარიში, უკუკავშირი, შეფასების შემაჯამებელი ანგარიში), 2020-2021;
- პროგრამის წლიური შეფასების ანგარიში, 2020-2021;
- პროგრამის პირდაპირი შეფასება კურსდამთავრებულთა (2019-2020) მიერ (გამოკითხვების შედეგები, შედეგების ანალიზი და გამოყენება);
- პროგრამის პირდაპირი შეფასება - აკადემიური მოსწრების ანალიზი, 2020-2021 (I, II);
- პროგრამის შეფასება დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პერსონალი, სტუდენტები) მიერ (გამოკითხვების შედეგები, შედეგების ანალიზი და გამოყენების ანგარიში);
- გარე შემფასებლების დასკვნები (გამოხმაურებები);
- „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი“;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

„საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი“. მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 61

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☒		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მანანა ლობჟანიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ გვიანიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა რომან მამულაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ზურაბ ჯანხოთელი